# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2011 წელი.

№115 (6726)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ერიკ ფურნიე: ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, სწრაფად დაიწყოს გაფართოების ახალი ფაზა

5

## ნიკა ჩიტაძე: ერიკ ფურნიეს განცხადებების საფუძველი საფრანგეთისა და რუსეთის საერთო ინტერესებში უნდა ვეძებოთ“

6

## სოსო ცინცაძე: სანამ ფურნიე მენშევიკური მთავრობის ქმედებებს გააკრიტიკებს, გაიხსენოს, საფრანგეთი რას აკეთებდა ალჟირში

## თვის დაწყების გამოცანა

1941 წლის 22 ივნისს მოლოტოვს რადიოთი არ წაუკითხავს ის სიტყვა, რომელიც დაწერა

8



9

ჰიტლერს სსრ კავშირზე თავდასხმა... 1945 წელს უნდოდა?..



## გეოლოგების აზრით, ღვარცოფები კვლავ მოსალოდნელია

**გეოლოგების** თქმით, საქართველოს უმეტეს რაიონებში, ძირითადად მაღალმთიანეთში, მეწყერი და ღვარცოფი ისევ მოსალოდნელია.

სპეციალისტების პროგნოზით, მეწყერის საფრთხე ემუქრება მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, აჭარის მაღალმთიანეთსა და შიდა ქართლს. შესაძლებელია, ღვარცოფი იყოს კახეთშიც.

გეოლოგები ამბობენ, რომ წლეულს საქართველოში სტიქიური პროცესების აქტივიზაციის პიკია, რომელიც ივლისის დასაწყისამდე გაგრძელდება.

## გიგი უგულავა: ოპოზიცია ხალხს „ანტი-მიშას“ სთავაზობს, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა“ სურს

4

## სოსო ცისკარიშვილი: ნაციონალური მოძრაობის“ ბაზაზე „გაუმჯობესებული მიშას“ შექმნის რესურსი არ არსებობს

6

# ნემსისა და აქლემისა არ იყოს...

## ღია წერილი ჩვენს მეგობრებს „ასავალ-დასავალიდან“

**თავიდანვე გეტყვით, რომ ჩვენც და ჩვენი რედაქციებიც ნამდვილად ძველი მეგობრები ვართ, ჯერ კიდევ „სამშობლოდან“, რომელიც აგრერიგად უსირცხვილოდ წაგვართვეს ნაციონალებმა და დღემდე, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, თივისა და ძაღლის მდგომარეობაშია (ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო)...**

მეგობრობა კი, კარგად მოგეხსენებათ, ორმხრივი უნდა იყოს, აკი ხალხიც ამბობს, მომციას მიმცია უნდაო. მე თუ გაფასებ, შენც უნდა დამაფასო, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა უგულებელმყო, რასაც ჩვენ, თქვენი მეგობრები, თქვენი პოპულარული ყოველკვირეულის ყოველ ნომერში ვგრძნობთ, როგორც „არაკვირგვინოსნები“... რაც, ცხადია, თქვენი ნება და სრული უფლებაა.




ეს კიდევ არაფერი, ბევრი არაფერი. ალბათ, არც გაგვახსენდებოდა, რომ არა თქვენი გაზეთის ბოლო ნომერი, რომლის ფურცლებზეც (ლაპარაკია 20 ივნისის ნომერზეძ ჩვენი გაზეთის 15 ივნისის ნომრიდან აღებულია თუ გადაბეჭდილია ჩვენი დიდად სახელოვანი **მერაბ ბერძენიშვილის** ფრიად ნიშანდებული ღია წერილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისადმი – **„ბატონო ბას, თქვენ საქართველო უნდა დატოვოთ!“**

ეს უაღრესად საყურადღებო და მრავლისმეტყველი წერილი ბატონმა მერაბმა, როგორც იტყვიან, ექსკლუზიურად მოაწოდა ჩვენს გაზეთს, ჩვენამდე სხვა გაზეთში პუბლიკაცია არ ისურვა. როგორც ავტორმა, საჭიროდ დაინახა, რომ სწორედ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან ეთქვა ამერიკელი ელჩისთვის შემდეგი სიტყვები: **„თქვენმა ტელევიზიით გამოსვლამ ამა წლის 25 მაისს და თქვენ მიერ გაცხადებულმა სიტყვამ სრულიად უადგილოდ, უდროოდ მწვანე შუქი აუნთო მავანს, რასაც ტრაგედია მოჰყვა... ბატონო ბას, თქვენ თქვენი მოქმედების შემდეგ, რასაც ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა, საქართველოში მოღვაწეობის მორალური უფლება არა გაქვთ.**

**თქვენ საქართველო უნდა დატოვოთ!“**

ჩვენთვის ამ არაორდინალური წერილის პუბლიკაცია, რომლის ავტორიც ასევე არაორდინალური, თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თვალსაჩინო ხელოვანია, ფრიად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ „საქართველოს რესპუბლიკამ“ ერთ-ერთმა პირველმა უთხრა ჩვენი ქვეყნის პარტნიორ ამერიკის შეერთებულ შტატებს მეგობრული, მაგრამ უთუოდ მწარე სიმართლე.

ასე რომ „ასავალ-დასავალმა“ ჩვენი გაზეთიდან სულაც არა ჩვეულებრივი, სულაც არა „ყოველდღიური ხასიათის“ წერილი გადაბეჭდა, ამიტომაც, როგორც საავტორო უფლების თვალსაზრისით, ისე ჟურნალისტური ეთიკისა თუ კოლეგიალობისა თუ ურთიერთპატივისცემის თვალსაზრისით, საჭირო იყო **„ასავალ-დასავალის“** მკითხველს სცოდნოდა, რომ ბატონ მერაბ ბერძენიშვილის სტატია გადაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ივნისის ნომრიდან.ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკის ელჩი ამ წერილს გაეცნო უკვე 15 ივნისს და არა 20 ივნისს.

თქვე კაი ხალხო, თუკი „კვირგვინოსნებში“ ყველა ფრაზას ბეჯითად უთითებთ წყაროს, როგორ ფიქრობთ, მით უმეტეს, სტატია არ საჭიროებდა მითითებას?! ანუ თუ „ნემსს“ ხედავთ და მიანიშნებთ, ვისია და საიდან არის, განა „აქლემის“ წყაროს მითითება ბევრად უფრო უპრიანი არ იქნებოდა?

რახან სიტყვამ მოიტანა, ნემსისა და აქლემის ქურდობის ანდაზის მოშველიება აქ იქნებ ზოგს უადგილოდ ან უხერხულად მოეჩვენოს, მაგრამ, ანეკდოტისა არ იყოს, არც ანდაზიდან სიტყვის ამოგდება ეგების. არადა ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი თუ ორივე ქურდია, როცა ერთი გაზეთი მეორე გაზეთიდან ექსკლუზიურ სტატიას ისე ბეჭდავს, რომ არც თვითონ რედაქციას უთანხმებს და არც იმ გაზეთს არ მიუთითებს, საიდანაც ის სტატია გადაბეჭდა, ამას რა ჰქვია, ჩვენ არ ვიტყვით, ამ ამბისთვის სახელის დარქმევა თქვენი მჩქეფარე ფანტაზიისთვის მოგვინდია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია



3

## „მიწა ქართული“, რომელიც უნდა გაიტანონ!

## პარლამენტში

**გუშინ საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის განკარგულების თანახმად რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატთა კვორუმმა 103 კაცი შეადგინა, თუმცა ოციოდე წუთში ასევე ოციოდე დეპუტატი თუ დარჩა დარბაზში. ეს, როგორც წესი, ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს ტრადიციაა, არადა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დაჩქარებული წესით განიხილებოდა. მათ შორის ისეთები, როგორიცაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოზრდილთა განრიდების მექანიზმის შემოღება; ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი, რომელიც გადაადგილებას შეეხება; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში ცვლილებები; შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ ახალი ინიციატივები, პარლამენტის ქუთაისში გადატანა და სხვა.**

# დაუჭერენ თუ არა მხარს ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლის პროცესს?

## უმცირესობისა და უმრავლესობის საერთო ხედვა

მაგრამ ვიდრე დეპუტატები ამ კანონს თვალს გადაავლებდნენ და „გადარბენით“ მოისმენდნენ, სამშაბათი — განცხადებების გაკეთების დღე გამოიყენეს და საინტერესო დებატებიც გაიმართა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გიგი წერეთელი** სტიქიურ უბედურებებს შეეხო: „დეპუტატთა ჯგუფმა დაზარალებული რაიონები მოვინახულეთ, შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას. რაც ვნახეთ, მოლოდინს აღემატება. ბუნებრივი კატასტროფის მასშტაბები წარმოუდგენელია. გზის გაწმენდითი სამუშაოები ეფექტიანად მიმდინარეობს, მაგრამ მოსახლეობა მძიმე დღეშია, რომელსაც შველა სჭირდება. ჩვენ მათ დახმარება აღვუთქვით, ამიტომ იქნებ რაღაცნაირად გვემსჯელა ამაზე. სამაშველო სამუშაოებში პროფესიონალებთან ერთად საჭიროა მოსახლეობის, სტუდენტების ჩართვა. ალბათ, ამიერიდან სპეციალისტები უკეთ დაგეგმავენ და პრევენციულ ღონისძიებებს განახორციელებენ“.



**გიორგი ახვლედიანმა** უშუალოდ რიკოთის უღელტეხილზე დასაქმებული ადამიანების დახმარება მოითხოვა: „რესტორნები მეწყერმა თითქმის მიწასთან გაასწორა. არადა ამ ხალხს ბანკებში სახლები ჰქონდათ ჩადებული და სესხები გამოტანილი. დღეს უკვე არავითარ შემოსავალზე საუბარი არ არის, პირიქით, უზარმაზარი ზარალი აქვთ. ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

ბოლოს და ბოლოს... საქართველო ბოლო წლებში მუდმივი სტიქიური უბედურებების მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობს. ასე რომდემდე? იქნებ გვეფიქრა, უფრო კონკრეტულ და ქმედით პრევენციაზე და თანხების სწორად მიმართვაზე, ვიდრე მერე სტიქიით გამოწვეული ზარალი გვიჯდება“.

გაცილებით პრინციპული იყო **ჯონდი ბაღათურია:** „მოვუწოდებ მთავრობას, შეაჩეროს ყველა ხარჯი, რომელსაც გასართობ პროგრამებზე მიმართავს, და რომელიც სულ მცირე, 2-5 მილიონი ჯდება. დაზარალებულებს დახმარება სჭირდებათ. თანაც 500 მილიონი დოლარის რესურსი გვაქვს, რომელიც ევრობონდების სახით გამოიცა. მოგმართავთ, რომ ეს თანხა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ საკითხებს, ჯანდაცვისა და დასაქმების პროგრამას დავახარჯოთ. განსაკუთრებით უმძიმესი ვითარებაა რეფერალურ პროგრამასთან დაკავშირებით. დეპუტატი არაა დარჩენილი, ვისაც მაგიდაზე ასეთი თხოვნის უამრავი წერილი არ უდევს. სირცხვილია, ხალხს ვერ ვეხმარებით. მაშინ, რაღა აზრი აქვს ჩვენს პარლამენტში ყოფნას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ საზოგადოება არ არის მზად ჯანდაცვის საბაზრო პრინციპებზე გადასასვლელად“.

**აკაკი ბობოხიძემ** აღნიშნა, რომ ის, რაც მოხდა, იყო არაპროგნოზირებადი სტიქია, რომელსაც ვერანაირი პრევენცია ვერ გამორიცხავდა. დეპუტატი ოპოზიციის ანგაჟირების თემას შეეხო და აღნიშნა, რომ საქონლის ხორცზე ფასების მომატების საკითხიც კი პოლიტიკური გახდა. „ამბობენ, ხელისუფლება ცდილობს აწიოს ხორცის ფასიო. თანაც ხორცი აღარ არის 17-20 ლარი, არამედ ის რეალურად 14 ლარი ღირს. არც სასაკლაოების მონოპოლიზაცია ხდება, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისს მინიმუმ ხუთი სასაკლაო ემსახურება: ნატახტარი, გარდაბანი, ხაშური, თელეთი, ყარაჯალა“. ასეთ განცხადებას ლევან ვეფხვაძის ემოციური გამოსვლა მოჰყვა, რომელიც დიდხანს, თუმცა უშედეგოდ ეცადა უმრავლესობის გადარწმუნებას. „მართალია, ხორცი გაძვირდა, მაგრამ სამაგიეროდ უსაფრთხოა, ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ დახლზე ჯილეხიანი ხორცი არ მოხვდება? თქვენ „სპეკულანტების“ ლობისტად გამოდიხართ“, — მიანიშნა **პეტრე ცისკარიშვილმა.**

**მაგდა ანიკაშვილი** გამოეხმაურა თბილისის მერიის ინიციატივას, რომლის მიხედვით დასუფთავების გადასახადი ელექტროენერგიის დანახარჯებს მიებმება. „ეს იქნება დანაშაულებრივი ქმედება. ჩვენ მზად ვართ, ყველანაირად შევეწინააღმდეგოთ ამ გადაწყვეტილებას, რადგან სოციალური კატასტროფის ტოლფასია. კომუნალური გადასახადი ისედაც უმძიმესი ფინანსური წნეხია ჩვენი მოსახლეობისთვის“.

**გიორგი მელაძემ** ანიკაშვილს ამ ინიციატივაში კეთილშობილური მიზნების დანახვა ურჩია: „ამ ჟესტით მერია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესებს იცავს. 200 ათასამდე ოჯახს, პირიქით, გადასახადები შეუმცირდება, ხოლო შეძლებულ ფენას უფრო მაღალი გადასახადის გადახდა მოუწევს. ასე რომ, ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა“, — აღნიშნა მან.

სოციალური პრობლემებიდან **გიორგი თარგამაძე** პოლიტიკურ საკითხს შეეხო, რომელიც არანაკლებ საფრთხის შემცველია: „საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა გადაამოწმოს. მაშინ, როცა რაჭიდან გატაცებული 10 ქართველის ბედი გაურკვეველია და ევროკავშირიც კი ვერაფერს გახდა, ასეთი სახის პროვოკაციები ხელოვნურად შექმნილს ჰგავს...

ჩემი აზრით, თუკი ეს ამბავი დადასტურდება, მაშინ ჩვენ უნდა დავაყენოთ ჟენევის მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლის საკითხი. როცა საერთაშორისო ორგანიზაციებიც კი ვერ ახერხებენ პრევენციას, მაშინ საერთოდ აზრს კარგავს ასეთი დიალოგი“. ამ იდეას დაეთანხმა **ნუგზარ წიკლაური:** „რუსეთი ყველანაირად ცდილობს კონფლიქტური რეგიონები დამკვირვებლებისგან დაცალოს. მისი მიზანი სრული დომინირებაა, რასაც ხელი უნდა შევუშალოთ, ამ საკითხში პოზიციისა და ოპოზიციის ერთიანი ხედვა მნიშვნელოვანია“.

პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით ბაქრაძემ** ამ თემის აჟიტირებისგან თავის შეკავება ურჩია დეპუტატებს: „ამჟამად გადაუმოწმებელი ინფორმაციის გარშემო ნუ დავკონკრეტდებით, თუმცა აუცილებლად თვალყური უნდა ვადევნოთ ამ პროცესს. როგორც კი ოფიციალური დადასტურების პირველი სიმპტომი იქნება, მოვიფიქროთ, რა ნაბიჯები გადავდგათ და რა დავუპირისპიროთ სამხედრო ესკალაციის საფრთხეს“.

**მორიგი რიგგარეშე სხდომა 24 ივნისს გაიმართება, სადაც დარჩენილ საკანონმდებლო ცვლილებებს განიხილავენ და შესაბამისად კენჭს უყრიან.**

**თეა მოსია**

## გადაუჭრელი პრობლემა

# უშველის დევნილებს სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია?!.

**„დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია“ სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით იწყებს პროექტის — „დევნილი — აქტიური და ინტეგრირებული მოქალაქე“ — განხორციელებას.**



პროექტის მიზანია, თბილისში, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებზე დევნილთა საინიციატივო ჯგუფების შექმნა და მათი გადამზადება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით, აგრეთვე, დევნილთა კონსოლიდაცია ერთობლივი ინტერესებისა და მიზნების გარშემო, ასევე, დევნილთა პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდების გამოვლენა და მათი მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლება.

სწორედ ამ მიზნით დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის წევრებმა შეხვედრა გამართეს დევნილ მოსახლეობასთან.

ჩვენთან საუბარში აფხაზეთიდან დევნილი ეთერ ახვლედიანი ამბობს: **„მე ყველა ინსტანციას მივმართე ფართის დაკანონების გამო, თუმცა ზუსტი პასუხი არავინ გამცა დასმულ შეკითხვაზე“.**

— რატომ არ იდექით თებერვლის შუა რიცხვებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შენობასთან, აქციები რომ მიმდინარეობდა თბილისიდან გასახლების შესახებ? — ვკითხე.

კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. როგორც ჩანს, დევნილი მოსახლეობის აზრი ორად არის გაყოფილი. გამოდის რომ, სანამ სახლი აქვთ, ჩუმად იქნებიან და მერე? მერე ალბათ, ისინიც დაიწყებენ გამოსვლას სუბელიანის წინააღმდეგ. ალბათ, სწორედ ამიტომ შეიქმნა „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია“, რათა არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა. ორგანიზაციის წევრი რამაზ გერლიანი ამბობს: **როდესაც იანვარში ლტოლვილთა გასახლების პირველი ტალღა დაიწყო, მე ჩემს კოლეგებთან ერთად ბევრ ობიექტზე ვიმყოფებოდი. ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა ამ ხალხის დასაცავად. მათი უფლებები თითქმის ყოველდღე ირღვევა და ილახება. ჩვენ ჟიქიას 8 ნომერში იმიტომ შევიკრიბეთ, რომ მოვუსმინოთ მათ, ვეცადოთ მათი პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. აქ იმიტომ ვართ, რომ დევნილებს რამის შიში არ ჰქონდეთ. მათი აზრი ორად არ უნდა იყოფოდეს, მხოლოოდ კონკრეტული გეგმით მიაღწევს დევნილთა საზოგადოება მიზანს.**

**ირინა ოზოლაშვილი**

## ვითარება

# რა გახდა ეს ვანუატუ!

**ვანუატუს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ნათაპეიმ ოფიციალურად დაადასტურა თავისი ქვეყნის პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით. მართალია, მთავრობის საიტზე ძველებურად გამოკიდებულია განცხადება აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ, კუნძულოვანი სახელმწიფოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ სურს, წავიდეს მსოფლიოს უმრავლესობის პოზიციის წინააღმდეგ.**

ვანუატუს პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ნათაპეიმ ოფიციალურად გააუქმა გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ. ინფორმაცია ამის შესახებ დაადასტურა თავად პრემიერმა, მიუთითა იმაზე, რომ ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კუნძულოვან სახელმწიფოს განზრახული აქვს, იყოს სოლიდარული მსოფლიო გაერთიანებასთან ამ საკითხში.



## პროტესტი

# წყალი კი კვლავაც ჭირს!

**რესპუბლიკური პარტიის განცხადებით, 2008 წელს თბილისის მერიის მიერ განხორციელებული უკანონო და კორუფციული გარიგების შედეგად, პრივატიზაციისაგან სამი წლის შემდეგ, თბილისის წყლით მომარაგება არ გაუმჯობესებულა. დღეს თბილისს წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით მეტი პრობლემა აქვს, ვიდრე მანამდე ჰქონდა. თბილისში, ბოლო პერიოდში, წყლის მიწოდებაზე შექმნილი კრიზისის გამო პასუხისმგებლობას სრულად თბილისის მერიას ვაკისრებთ.**

კომპანია, რომელსაც პრივატიზაციის დროს გადაეცა „თბილისის წყალი“, გულწრფელად აცხადებდა, რომ მას არ ჰქონდა წყლის მენეჯმენტის არავითარი გამოცდილება. ამასთანავე, ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა კომპანიასთან, დახუნძლულია ვალდებულებებით, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე არ შესრულებულა.

გაუგებარია, რატომ არ ასრულებს თბილისის მერია თავის მოვალეობას და, ერთი მხრივ, — არ წყვეტს „თბილისის წყალთან“ კონტრაქტს, ხოლო მეორე მხრივ — მიყენებული ზარალისა და შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის არ უჩივის სასამართლოში?

ერთიანი ქვითრის შემოღებითა და წყლის საფასურის გაორმაგებით მერიამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი კომპანიის მხრიდან უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას.

რესპუბლიკური პარტია მოითხოვს, თბილისის საკრებულომ დაუყოვნებლივ მოისმინოს „თბილისის წყლის“ კომპანიის წარმომადგენელთა ანგარიში, ხოლო თბილისის მერმა — დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები კომპანიის წინააღმდეგ.

**ნატა ნიბლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მხატვრობა

# „მიწა ქართული“, რომელიც უნდა გაიტანონ!

**„მიწა ქართული“ – პანო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ამშვენებს.**

**პანო, რომელმაც მრავალ სტუდენტს საკუთარი ქვეყნის სიყვარული კიდევ უფრო მეტად აგრძნობინა.**

**პანო, რომელიც თავისი მასშტაბური დატვირთვით ქართული ისტორიის ნათელი აღწერა გახდა.**

**სიმბოლოებით სავსე „მიწა ქართულმა“, საქართველოს წარსული, აწმყო და აწ უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი მომავალი ერთ ანსამბლში შეკრა, ერთიანად გვაჩვენა ის ბრძენი მოხუცი, რომელიც ჩვენი წარსულია.**

**გვაჩვენა დედის, ქალის, ღვთისმშობლის კულტი, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც წელზე სისპეტაკის, მიწათმოქმედების, ბარაქიანობის, გამრავლებისა და ქართული სულის უკვდავების სარტყელი აქვს შემორტყმული.**

**გვაჩვენა ეკალი, ამოსაძირკვი სარეველა. ის წარსული, რომელიც მუდამ შეგვახსენებს თავს და გვაჩვენა ის წვალებით განვლილი გზა, რაც ჩვენმა რიცხოვნობით პატარა ერმა გაიარა.**



პათეტიკას თავი დავანებოთ და პირდაპირ გეტყვით, რომ უნიჭიერესი მხატვრის, კოკი მახარაძის მიერ შექმნილი პანოს – „მიწა ქართულის“ მოხსნას აპირებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. მრჩეველთა საბჭოში მყოფი კონფორმისტი „მოღვაწეები“.

გარკვეულწილად, მართლაც შესანიშნავი მეცნიერები, მაგრამ...

აპირებენ ვითომდა მხატვრის, ვითომდა მოღვაწის, ვითომდა თანამედროვე ხელოვნების საქართველოში დანერგვის სურვილით „ანთებული“, გაურკვეველი ნიჭისა და უნარის პატრონის გია ბუღაძის ხელდასხმით.

სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით, 13 ივნისს მედიაკავშირ „ობიექტივის“ სტუდიაში რადიო 105-ის პირდაპირი ეთერით გავიდა გადაცემა, რომელიც მიჰყავდათ თიკა გოგიტიძეს და გია გაბრიჭიძეს.

გადაცემის სტუმრები იყვნენ მხატვრები შოთა გლურჯიძე და მიშა მახარაძე.

ალბათ ყველას გაუჩნდება შეკითხვა, თუ რატომ დაგვიანდა ამ წერილის დაწერა.

ახლავე გეტყვით.

უბრალოდ, საინტერესო იყო ის გამოხმაურებები, რომლებსაც გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ველოდით.

არ დაგიმალავთ და, საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოხმაურება მოჰყვა იმ პრობლემას, რასაც დღევანდელი „რეფორმირებული“, ე.წ. „დასავლურ რელსებზე დამდგარი“ და ფაქტობრივად უნიჭო და უნიათო ადამიანის ხელში ჩავარდნილი მხატვრობა განიცდის.

ამ წერილში არ შევეხებით იმ უამრავ პრობლემას, რასაც დღევანდელი ქართული კულტურა განიცდის.

არ შევეხებით, რადგანაც ამ პრობლემებთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო და ყურადსაღები სტატია იბეჭდება ქართულ პრესაში.

უბრალოდ, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ საჭირბოროტო საკითხს, რაც **„ქართულ მიწასთან“** დამოკიდებულებაში გაუჩნდათ ე.წ. მხატვრებს და ე.წ. „მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს (რაღა დაგიმალოთ და საკმაოდ სიმბოლურადაც ჩანს).

ზემოთ ნახსენებ გადაცემაში ამ საკითხზე მსჯელობამ საკმაოდ მწვავე და ემოციური ხასიათი მიიღო.

**„გია ბუღაძე აპირებს ამ ფრესკის „ვითომდა გადატანას“. მან მოძებნა ორი სტუდენტი, რომლებიც „რაიმე მეთოდით“ მოახერხებენ“ ამ ნაწარმოების მოშორებას“.**

**„ესენი თუ ამას აკეთებენ, მაშინ „ყინწვისის ანგელოზსაც“ წაშლიან და „შუშის ანგელოზს“ დააყენებენ“.**

**„გია ბუღაძეს არ მოეწონა „ქართული მიწა“. მას ქართული ისტორიის ჩამოხევა აქვს გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, ბუღაძე მხარს თურქულ პროდუქტს უჭერს. ნახატზე ქართული ხილია წარმოდგენილი. მას ეს არ მოსწონს, რადგანაც ის ქართულია და არა საეჭვო გზებით იმპორტირებული“.**

მსვლელობის დროს შემოვიდა უამრავი სატელეფონო ზარი. მსმენელები განსაკუთრებით აღაშფოთა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის ფრაზამ, რომელიც პანოზე გამოსახულ ფეხშიშველ ქალს ეხებოდა.

საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ცნობილი ისტორიკოსის ცინიკური დამოკიდებულება მშობლიურ მიწაზე შიშველი ფეხებით მდგარი ქართველის მიმართ.

ასეთი იყო იმ გამოხმაურებების მცირე ნაწილი, რომელიც გადაცემის თემას მოჰყვა.

იყო საუბარი პანოს გადატანასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც.

„მიწა ქართული“ ისეთი მასალითაა შექმნილი, რომ მისი გადატანა ფაქტობრივად შეუძლებელია. დემონტაჟი გამოიწვევს არა მხოლოდ დაზიანებას, არამედ შეიძლება ის განადგურდეს.

კოკი მახარაძის ვაჟმა, მხატვარმა მიშა მახარაძემ შესთავაზა პანოს ე.წ. „სარკოფაგში“ მოქცევა და მისი „ევრორემონტული თვალისგან“ გარიდება, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა.

არადა, ბატონი მიშას მოთხოვნა სავსებით ლოგიკურია, რადგანაც ის რექტორი, ის ე.წ. მრჩეველთა საბჭო, ის „ევრორემონტულად“ მოაზროვნე ხელოვანთა „კასტა“, დღეს არიან, ხვალ მათ უბრალოდ მოხსნიან და ისტორიის სანაგვეზე გადაყრიან. ნამდვილი მხატვრობა, ნამდვილი ხელოვნება კი სამუდამოდ დარჩება.

სამწუხაროდ, ამას კარგად ხვდებიან ყოველგვარი ქართულის მტრები და ხელოვნების ამ შედევრის ნაცვლად გია ბუღაძის „ნაღვაწის“ დატოვება სურთ.

ამ პრობლემას ხელოვნებათმცოდნეების, მხატვრების, მოქანდაკეების და ამ სფეროს სპეციალისტების საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა.

წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან პროფესორები თ. შათირიშვილი, ე. კაკაბაძე, გ. ლაზარაშვილი, ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი ნანა შერვაშიძე, საქართველოს სახალხო მხატვრები რაშიდ თორდია, გიორგი შხვაცაბაია და კიდევ მრავალი ნამდვილი ხელოვანი, ნათქვამია, რომ ეს ძეგლი მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის და ის აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეს მომავალ თაობას.

**არადა ქართული ისტორიის, ქართული გენის, ქართული ხელოვნების კიდევ ერთ ძეგლს, დღე-დღეზე „მოხსნიან“.**

**ნინი ადუაშვილი**

განსჯა



# პრობლემა ის არის, რომ ჩვენ გვყავს რადიკალური და კონსტრუქციული ოპოზიცია, მაგრამ არა – ქმედითი და ეფექტიანი

***კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ ხელისუფლების მიერ ინიცირებული ცვლილებების აცკარგიანობასა და სავარაუდო შედეგებზე, ასევე, რამდენად სავარაუდოა, რომ „რვიანი“ შეძლებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში საზოგადოების ჩართვას და კონკრეტული შედეგის მიღწევას, „ინტერპრესნიუსი“ საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორს კახა კახიშვილს ესაუბრა.***

**– ბატონო კახა, უკვე ცნობილია, რომ კანონპროექტში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შემდეგ, აქციებში მონაწილეთა სამართლებრივი პასუხიმგებლობა გამკაცრდება. ხელისუფლება შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესის გამკაცრებასაც გეგმავს. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული კანონების გამკაცრება?**

– ბოლო წლებში ვხედავთ ტენდენციას, რომ ხელისუფლებას მოსახლეობასთან ურთიერთობისას ექმნება ბევრი პრობლემა, მათ შორის მიტინგებისა და მანიფესტაციებისას, არჩევნების დროს, ბიზნესთან ურთიერთობისას და ასე შემდეგ. ამ პრობლემების აღმოფხვრისთვის მათ აირჩიეს ძალიან იოლი გზა, საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც ახერხებენ მოსახლეობის ნებისმიერი პროტესტის, უკმაყოფილების და სამოქალაქო აქტიურობის მათთვის სასარგებლო ჩარჩოში ჩასმას და კანონის დარღვევად გადაქცევას. ეს ტექნოლოგიები ძნიან უზარმაზარ ბერკეტებს სიტუაციის კონტროლისა და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის. ამავდროულად, ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებს უქმნიან სურათს, რომ ხელისუფლება მხოლოდ კანონის მოთხოვნას იცავს, ხოლო რამდენად შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობა ევროპულ კანონმდებლობას, ეს უკვე აღარ აინტერესებთ.

**– ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა აშკარაა, ერთნი მიიჩნევენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით მოქალაქეებს აზრის გამოხატვის თავისუფლება აშკარად შეეზღუდებათ და 37 წლის მოახლოებას პროგნოზირებენ, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უფრო ცივილიზებულად დასაცავად ცვლილებების განხორციელება აუცილებელია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება საპროტესტო ტალღის აგორებას ელოდება და თადარიგს იჭერს. თქვენი აზრით, ამ ორ პოზიციას შორის თქვენთვის რომელი უფრო არგუმენტირებული და მისაღებია?**

– დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხი 2000 წლიდან 2003 წლამდე ოპოზიციაში იყო. იმ პერიოდში ისინი კარგად იყენებდნენ კანონს „შეკრებებისა და მიტინგების შესახებ“ და ყველგან, სადაც საჭიროდ თვლიდნენ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ატარებდნენ მიტინგებს, მანიფესტაციებს, სრულად იყენებდნენ კანონის შესაძლებლობას თავისი პოზიციის გამოსახატად და უფლებების დასაცავად. გახსოვთ ალბათ პოლიციის შენობებსა და გზებზე წარწერები, იმავდროულად გამგეობებთან და პოლიციის შენობებთან მიტინგები. გასაკვირია, რომ ის ხალხი, რომელიც 2003 წლამდე პოლიტიკური ბრძოლის ამ მეთოდებს იყენებდა, ახლა აცხადებს, რომ პოლიციისა და სხვა ადმინისტრაციულ შენობებთან შეკრება და მანიფესტაციის ჩატარება 20 მეტრის რადიუსში არ შეიძლება, ხოლო შენობებზე წარწერა საერთოდ უზნეობად და ხულიგნობად მიაჩნიათ.

ხელისუფლებას 20-მეტრიანი რადიუსის ნორმის მიღება დედაქალაქის არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინებით სურს. 20 მეტრის რადიუსის ნორმის დაცვის შემთხვევაში, ვერც ერთ ადმინისტრაციულ შენობასთან მიტინგსა და მანიფესტაციას იმის გამო ვერ ჩაატარებ, რომ ფაქტობრივად შენობიდან თუ 20 მეტრს გადათვლი, ქუჩაში აღმოჩნდები, ქუჩის გადაკეტვაზე უფლებას კი რეალურად არ მოგცემენ. ასე რომ, კანონის შესაბამისად, 20 მეტრის მოშორებით აქციის ამა თუ იმ შენობასთან ჩატარება აქტუალობას კარგავს. აქციის მიზანი ხომ ის არის, რომ პროტესტის ადრესატმა პროტესტანტთა ხმა გაიგონოს. თუ ვინმე გამაგებინებს, რატომ შეიძლებოდა 2003 წლამდე ქართული კანონმდებლობით ამა თუ იმ შენობასთან პროტესტის გამოხატვა და ახლა არ შეიძლება, ძალიან დამავალებს. აქვე აღვნიშნავ, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო საზოგადოებამ კანონთა პაკეტში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით მკვეთრი განცხადებები გააკეთა, პარლამენტის შენობა და პრეზიდენტის სასახლე კანონპროექტში იმ შენობების სიიდან ამოიღეს, რომელთანაც პროტესტის გამოხატვა არ შეიძლება. ანუ კანონმდებელი, საზოგადოებას პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან პროტესტის გამოხატვის უფლებას უტოვებს. მაგრამ, ამავდროულად, სხვა ადმინისტრაციულ შენობასთან პროტესტის გამოხატვის აკრძალვას ტოვებს.

რაც შეეხება 37 წელთან ვითარების შედარებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ „თავისუფლების ქარტია“ მიღებულია და ნებისმიერ შემთხვევაში ძალოვან უწყებას უფლება აქვს, თავიდან ბოლომდე უპირობოდ გააკონტროლოს პირის კონსტიტუციით გარანტირებული პირადი საიდუმლოება, სატელეფონო, საფოსტო გზავნილები თუ ფულადი გადარიცხვები, თავად განსაჯეთ, ასეთ ვითარებაში 37 წელთან შედარება რამდენად მართებული და კანონზომიერია. ის, რომ ხელისუფლების მიერ კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ინიცირებული ცვლილებები აშკარად არ არის დემოკრატიული, უდავოა.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 115. ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2011 წელი.

განსჯა

# გიგი უგულავა:

# ოპოზიცია ხალხს „ანტი-მიშას“ სთავაზობს, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა“ სურს



თბილისის მერმა გიგი უგულავამ რიგაში ვიზიტის დროს „ტელეგრაფს“ ინტერვიუ მისცა.

**— რა ხდება ამჟამად ქართულ პოლიტიკაში? გვერდიდან ცოტა ძნელი გასაგებია, რა ხდება ქვეყანაში ...**

— ყველა სახელმწიფოს, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის, სირთულეები აქვს და ეს ნორმალურია. უარესია, როდესაც ქვეყანას სირთულეები არ აქვს. ე.ი. ის ერთ ადგილზე ბუქნაობს. მიმდინარეობს ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ცხოვრების წესის ცვლილების პროცესი.

**— ლატვიიდან როდესაც იხედები, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ხელისუფლება მზადაა, ძალადობას ძალიან მარტივად მიმართოს, რათა ოპოზიციასთან დაკავშირებული პრობლემები გადაწყვეტოს. რატომაა ეს ასე?**

—საქართველოში ოპოზიცია საკმაოდ მოცულობითია, თუმცა ხმაურობს მისი ის ნაწილი, რომელსაც, სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერის თითქმის ნულოვანი მაჩვენებელი აქვს. თქვენ იცოდით, მაგალითად, რომ როდესაც თბილისში მიტინგები მიმდინარეობდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი 5 დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს პირდაპირ ეთერში აშუქებდა? ჩვენ მათ ასევე ქუჩების ბლოკირების შესაძლებლობა მივეცით. თბილისის მერიამ ყველაფერი გააკეთა, რათა მათ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ჰქონოდათ, თუმცა როდესაც ამ ქმედებებმა ანტიკონსტიტუციური, ძალადობრივი ხასიათი მიიღო, მოხდა ის, რაც მოხდა.

**— არაოფიციალურად თქვენ საქართველოს ახალი პრეზიდენტის ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო კანდიდატად გასახელებენ. თავად როგორ აფასებთ საკუთარ შანსებს?**

— ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა სპეკულაციები არსებობს, თუმცა საკითხი იმის შესახებ, ვის კანდიდატურას დააყენებს „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ღიაა. ამასთან დაკავშირებით პროგნოზების გაკეთება ჯერჯერობით ადრეა. ჩვენთვის - ჩემთვის, მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის სხვა ლიდერებისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, სად ვიქნებით ჩვენ 2013-2014 წლებში, არამედ როგორი იქნება სახელმწიფო. ამჟამად ჩვენი პარტიის საქმიანობას მოსახლეობის 75-78% იწონებს. ადამიანებისთვის აუცილებელია იმ კურსის გაგრძელება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის — მიშას დროს იქნა აღებული, როგორც მას უწოდებენ. აი, ამაშია ჩვენი ოპოზიციის მთავარი შეცდომა. ისინი „ანტი-მიშას“ გვთავაზობენ, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა“ სურს.

**— დავუშვათ, თქვენ მაინც გახდით საქართველოს ახალი პრეზიდენტი. გადადგამთ თუ არა ნაბიჯებს, რათა რუსეთს შეურიგდეთ?**

— ჩემი მხრიდან ჩემს გაპრეზიდენტებაზე ასეთი ჰიპოთეტიური ვარაუდის გამოთქმა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ მზადაა, რუსეთთან დიალოგი სუფთა ფურცლიდან დაიწყოს. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან ჩვენ მხოლოდ ასეთი ფრაზა გვესმის: „ჩვენ ვისაუბრეთ ქართველ ხალხთან, მაგრამ არა ხელისუფლებასთან“. უცნაური პოზიციაა, ხელისუფლებას ხომ ქართველი ხალხი ირჩევს?! იქნებ, რუსეთში სხვაგვარადაა?

იხ. 6 გვ.

# პრობლემა ის არის, რომ ჩვენ გვყავს რადიკალური და კონსტრუქციული ოპოზიცია, მაგრამ არა — ქმედითი და ეფექტიანი

(მესამე გვერდიდან)

**— ოპოზიციონერი ლიდერები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონპროექტს ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ კანონში მისაღები ნორმები „ევროპულ ქარტიას“ ეწინააღმდეგება, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ცვლილებები სწორედ კონსტიტუციური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება განსახორციელებელი ცვლილებები საერთაშორისო პრაქტიკას?**

— რა თქმა უნდა, არ შეესაბამება. ჩვენ ჯერ ის გვაქვს გასარკვევი, რომელ პრაქტიკაზე ვსაუბრობთ. ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, განვითარების რა მოდელს ირჩევს საქართველო. თუ დასავლეთის პრაქტიკაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ის ცვლილებები, რომლის მიღებაც იგეგმება, დასავლეთის პრაქტიკას ეწინააღმდეგება. ევროპულ პრაქტიკაში მიღებული ნორმაა მშვიდობიანი პროტესტის ნებისმიერ ადგილზე გამოხატვა. ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამა თუ იმ ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესები. თუ ჩვენ აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების პრაქტიკაზე ვსაუბრობთ და იქით მივდივართ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ცვლილებები აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების პრაქტიკასთან შედარებით აშკარად დემოკრატიულია.



**— „რვიანის“ ლიდერები აცხადებენ, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების მაგიდიდან პრაქტიკულად გაიქცა და ახლა ოპოზიციის ამოცანაა, საზოგადოების გააქტიურებით დააბრუნოს იგი მოლაპარაკებების მაგიდასთან. თქვენი აზრით, რამდენად განხორციელებადია „რვიანის“ გეგმები?**

— „რვიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას სამართლიანი არჩევნების მისაღებად ითხოვს. უდავოა, რომ ხელისუფლების შეცვლის ცივილიზებული გზა მხოლოდ სამართლიანი არჩევნებია. თავად ეს იდეა მშვენიერია, მაგრამ „რვიანის“ მიერ არჩეული ტაქტიკით და პასიურობით ეს იდეა განუხორციელებელი დარჩება. „რვიანი“ უნდა გააქტიურდეს და იზრუნოს პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე. „რვიანს“ ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობაზე ჯერ კიდევ 8 თვის წინათ რომ ეფიქრა და ეზრუნა, საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესების პროცესში გაცილებით უკეთესი ვითარება გვექნებოდა. საარჩევნო გარემო და კანონმდებლობა არ არის მხოლოდ კონკრეტულ კანონში ერთი-ორი ან თუნდაც 10 ცვლილება. ეს ნიშნავს, როგორც პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, ისე მედიის, სასამართლოს და კიდევ ბევრ სხვა თავისუფლებას.

ვითარებაში, როცა საზოგადოება 26 მაისის შოკიდან არ არის გამოსული, ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღო „თავისუფლების ქარტია“, საეჭვოდ დაიწყო მედიაჰოლდინგ „პალიტრაში“ შემავალი ორგანიზაციების ფინანსური შემოწმება, მოამზადა ცვლილებები, როგორც სისხლის სამართლის კოდექსში, ისე — კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. ხელისუფლების ნაბიჯები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში რაიმე დათმობებს აპირებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „რვიანი“ აუცილებლად უნდა გააქტიურდეს და მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ყველა სახის კანონით დაშვებული პოლიტტექნოლოგია. „რვიანმა“ საზოგადოებას დეტალურად უნდა აუხსნას, რას ითვალისწინებს საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესება. ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებსაც პურის ფულის პრობლემა აქვთ და საარჩევნო პროცესებში ჩართული არ არიან, პრაქტიკულად არც ესმით, თუ რას ნიშნავს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. „რვიანმა“ საზოგადოება ამ პროცესის თანამონაწილე უნდა გახადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც სამართლიანი არჩევნებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა ძალიან რთული იქნება და მხოლოდ კეთილ პოლიტიკურ სურვილად დარჩება.

**— ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ „რვიანი“ არა სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლისთვის, არამედ პოლიტიკაში თავისი ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის და რომ სხვაგვარად გაუგებარია ოპოზიციონერ ლიდერთა არათანმიმდევრული მოქმედება. რამდენად მართებულია ამგვარი მტკიცება და თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ქვეყანაში ოპოზიცია, რომლის გეგმებში ხელისუფლების შეცვლაა?**

— 26 მაისამდე იყო ჯგუფი, რომელიც ხელისუფლების შეცვლას მანიფესტაციებით გეგმავდა. ფაქტია, რომ ამ იდეამ კრახი განიცადა. ჩვენ გვყავს „რვიანში“ გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც თვლის, რომ არჩევნების გზით შესაძლებელია ხელისუფლებაში მოსვლა. თუ „რვიანის“ აქტიურობით ვიმსჯელებთ, არ რჩება შთაბეჭდილება, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კანონში ისეთი სახის ცვლილებები შევა, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაში თავის დამკვიდრების საშუალება ექნება.

ამ ეტაპზე პოლიტიკოსების მოქმედების შეფასება ცოტა რთულია, ასე რომ, ამ თვალსაზრისით მოვლენათა განვითარებისთვის დალოდება მოგვიწევს. არჩევნებამდე პერიოდი დაგვანახებს ოპოზიციის აქტიურობა ხელისუფლების შეცვლას ითვალისწინებდა, თუ პოლიტიკაში მხოლოდ ადგილის დამკვიდრებას. ანუ, არა ხელისუფლების შეცვლას, არამედ პარლამენტში გარკვეული რაოდენობის მანდატების მოპოვებას.

არ მინდა, დავიჯერო, რომ „რვიანში“ გაერთიანებული პარტიები ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და მხოლოდ პარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად ირჯებიან. ჯერჯერობით, რასაც ვხედავთ, „რვიანი“ ხელისუფლებასთან ხელისუფლების შესაცვლელად თავის თამაშს თამაშობს. რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ეს თამაში, ამაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე სწორედ „რვიანში“ გაერთიანებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა აიღონ. „რვიანმა“ ისეთი არაორდინალური და ხალხისთვის მისაღები ნაბიჯები უნდა გადადგას, რომლებიც მიზნის მისაღწევად უმოკლესი და ეფექტური აღმოჩნდება. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ გვყავს რადიკალური და კონსტრუქციული ოპოზიცია, მაგრამ არა — ქმედითი და ეფექტიანი.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## რუსეთი აფხაზეთში სამხედრო კონტიგენტს ზრდის

**მომავალი შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით რუსეთსა და სეპარატისტულ აფხაზეთს შორის მიღწეულია შეთანხმება მდინარეებზე ფსოუსა და ენგურზე მდგარი რუს ოკუპანტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. აღნიშნულია ისიც, რომ ამ შეთანხმებას სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მაშინ მიაღწიეს, როდესაც სოჭში ერთმანეთს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი და აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია შეხვდნენ.**



**— ამჟამად საქართველოს მხრიდან გალის რაიონში კვლავინდებურად გრძელდება პარტიზანული ომის წარმოება. მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით ამ რეგიონში სამშვიდობო ძალების რაოდენობის გაზრდის შესახებ. მოსკოვმა და სოხუმმა ამ შეთანხმების რეალიზაცია უკვე დაიწყეს, — განუცხადა სააგენტო „ლაივ ნიუსს“ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში არსებულმა მაღალჩინოსანმა.**

**სააგენტოს მოსაუბრის თქმით, სამშვიდობო კონტიგენტის რაოდენობა 2013 წლამდე 3500 ადამიანამდე გაიზრდება. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ბაზებზე საერთო ჯამში 1500 სამხედრო იმყოფება.**

**რუსული მედია ასევე აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროში დაადასტურეს სერდიუკოვისა და ქიშმარიას შეხვედრის ფაქტი, თუმცა „შეხვედრის დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს“.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სხვა გამოცემიდან

# „ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, სწრაფად დაიწყოს გაფართოების ახალი ფაზა“

**ინტერვიუ საფრანგეთის ელჩთან საქართველოში ერიკ ფურნიესთან**

**– ბატონო ელჩო, თქვენ მიეკუთვნებით იმ დიპლომატებს, რომლებიც აშკარად აკრიტიკებენ ხოლმე ჩვენს მმართველობას. რა არის ამის მიზეზი?**

– ვიდრე თქვენს კითხვებს პასუხს გავცემდე, ნება მომეცით, გითხრათ, რაოდენ შორსაა რეალობისგან მათში ასახული ხედვა. დასანანია, ვინაიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ინფორმაცია ან არ მოძრაობს, ან სრულიად დამახინჯებულია. ეს, ალბათ, მედიის მთავარი პრობლემაა საქართველოში. რაც შეეხება უშუალოდ კითხვას, დიპლომატიაში ლაპარაკი არ არის კრიტიკაზე, ან, კიდევ უფრო ნაკლებად, განსჯაზე, ლაპარაკია ანალიზსა და დაკვირვებაზე. ხანდახან ხდება, რომ ფაქტების უბრალო აღწერა მტკივნეული მოსასმენია როგორც უმრავლესობისთვის, ისე ოპოზიციისთვის.

**– მე პირადად მოვისმინე თქვენი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი განცხადება საქართველოში ნეობოლშევიზმის შესახებ და ამის გამო სინანული გამოთქვით. მოგვიანებით სხვაგვარი ინტერპრეტაცია გაუკეთეთ თქვენს ნათქვამს. რა მიზეზით? თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის.**

– ხომ ხედავთ? თქვენ ყველაფერს ამახინჯებთ: ჩემი სიტყვებიდან არაფერი უარვყავი, მაგრამ შევნიშნე, რომ ერთმა ჟურნალისტმა ჩემი გამოსვლის ერთი ნაწილი ამოჭრა, კონტექსტის გარეშე რომ გამოექვეყნებინა. საქმე მხოლოდ იმას ეხებოდა, რომ საქართველოში ევროკავშირის საქმიანობის აღქმა ისეთი სახით, როგორც ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შედგენილ მაღალი ხარისხის ანგარიშში ფიგურირებდა, სერიოზულ პრობლემას აყენებდა, კერძოდ, ევროპის დახმარების ეფექტიანობის პრობლემას. მართლაც, თუ რეფორმები, რომლებსაც ვეხმარებით, შედეგს არ გამოიღებს, როგორც ეს სასამართლოს სფეროში მოხდა, მაშასადამე, არსებობს პრობლემა და საჭიროა მასზე დაფიქრება. ჩემი გამოსვლის მიზანი იყო, აღმენიშნა რისკი, რომ ფინანსური და პოლიტიკური დახმარების შედეგებს ქართული საზოგადოება ვერ ნახავდა.

**– საფრანგეთი არის ერთ-ერთი იმ დასავლური ქვეყნებიდან, რომლებიც ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას ეწინააღმდეგებოდნენ. მოგვიანებით ანალიტიკოსების ნაწილმა ეს ფაქტი რუსეთისთვის საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დასაწყებად მწვანე შუქის ანთებად შეაფასა. რუსეთი ვერ გაბედავდა ომს ნატოს წევრობის კანდიდატ ქვეყანასთან.**

– დიახ, როგორც თქვენ ამბობთ, საფრანგეთმა ევროკავშირის ყველა ძირითადი ქვეყნის გვერდით, რომელთაც მაშინ „ექვსეულის ევროპად“ მოიხსენიებდნენ, ჩათვალა, რომ 2008 წელს საქართველოსთვის მაპის მინიჭება სარისკო გახლდათ, ვინაიდან მრავალი საომარი ინციდენტის გამო რეგიონში არასტაბილური სიტუაცია იყო. ეს იყო ფრთხილი და გონივრული პოზიცია, რომელიც შემდეგში 2008 წლის ზაფხულის მოვლენებით გამართლდა. რაც შეეხება თქვენს მიერ ხსენებულ ანალიზს, მე მგონი, მოსკოვი უფრო კოსოვოს ცნობის შესახებ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა. ის სერბეთის დანაწევრებას პროვოკაციად თვლიდა. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, როგორ დაიწყო 7 აგვისტოს მოვლენები.

**– რატომ არის საფრანგეთი ნატოში საქართველოს წევრობის წინააღმდეგი? უმორჩილესად გთხოვთ, გვითხრათ თქვენი არგუმენტები. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით ნატოს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ ნატოს კავკასიაში საქართველოს გარდა, მოკავშირე არ ჰყავს და ეს არის მთავარი გასაღები ცენტრალური აზიისკენ. არ არის ეს საკმარისი იმისთვის, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რეალური მფარველობა გაუწიოს საქართველოს?! ჩვენ, რა თქმა უნდა, მადლიერი ვართ დასავლეთის, მთლიანად ცივილიზებული მსოფლიოსი ყველა იმ სიკეთისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეს, მაგრამ თუ გულახდილები ვიქნებით, მეტს მოველოდით.**

– სად ამოიკითხეთ ყოველივე ეს? გადაიკითხეთ ბუქარესტისა და ლისაბონის სამიტების დასკვნები და ნახავთ, რომ ნატოს წევრი ქვეყნები არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს ალიანსში შესვლას. საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ პრინციპში, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს: ავღანეთში ჩვენი ქვედანაყოფები ერთმანეთის გვერდით დგანან და ამ თვეებში პირველად იწყებენ ავღანელი არტილერისტების მომზადების პროგრამის განხორციელებას. ჩვენი ძალების რეალური სიახლოვის უკეთეს ილუსტრაციას მე ვერ ვხედავ. პირველად ისტორიაში, ნატოს მისიის ფარგლებში ფრანგი და ქართველი მეომრები ერთად იბრძვიან ტერორიზმის წინააღმდეგ.

**– მაგრამ თუ გრძნობთ პასუხისმგებლობას 2008 წლის 8 აგვისტოს ომის გამო? როგორც ითქვა, საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება ბუქარესტში ფაქტობრივად, გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ჩავარდა...**

– ვინ წამოიწყო ომი? პირველმა ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით? თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის ძებნას სხვაგან და არა იქ, სადაც ის არის. ამასთან დაკავშირებით თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა (4 000 დაღუპული, 25 000 ლტოლვილი) და არა საფრანგეთს ან სხვა სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარის ნაციონალიზმს, რომელიც ევროპის ომების უმრავლესობის საფუძველი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, გადავლახეთ და ავირჩიეთ სხვა ღირებულებები, რომლებიც წარმოსახვითი ერების ოცნებებზე მაღლა დგას.



**– 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით და ინიციატივით მოეწერა ხელი. რუსეთი დღემდე არ ასრულებს ამ შეთანხმებას. რას გრძნობს საფრანგეთი?**

– საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ნახავთ ათასობით შეთანხმებას, რომელიც არ სრულდება. ამის ჩამოთვლა მოსაბეზრებელი იქნებოდა. ავიღოთ, მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი ძირითადი კონვენცია საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების შესახებ, რომლებსაც საქართველო არ ასრულებს. ჩვენ მათ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაგრამ სხვები მათ პრიორიტეტულად არ მიიჩნევენ. რაც შეეხება 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებებს, მათი დამსახურებაა კონფლიქტის შეწყვეტა და რუსული სამხედრო ძალების გასვლა მათ მიერ დაკავებული ზონებიდან. ეს დიდხანს გაგრძელდა და გადაუჭრელი პრობლემებიც რჩება, მაგრამ არსებობს ჟენევის ფორმატი დიალოგის გასაგრძელებლად. ამ ფარგლებში შესაძლებელია, წინსვლას მივაღწიოთ გაეროსა და ეუთოს მხარდაჭერით.

**– „მისტრალის“ შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. რატომ აპირებდა საფრანგეთი რუსეთისთვის მის მიყიდვას? რას მოუტანდა, გარდა თანხისა, ეს გარიგება? სიმართლე გითხრათ, უშუალოდ ჩვენ დიდად არ გვანაღვლებს, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოსთვის შესაძლოა, ეს ქცეულიყო თავსატეხად, რადგან არავინ იცოდა წინასწარ, სად განათავსებდა მას რუსეთი, დიდი ალბათობით - წყნარ ოკეანეში....**

– საფრანგეთს არაფერი გაუყიდია. საიდან მოგაქვთ ყოველივე ეს? არანაირ ხელშეკრულებაზე არ არის ხელი მოწერილი.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, რა რეალური ინტერესები აქვს ევროკავშირს საქართველოში, გარდა სტანდარტული დეკლარაციისა, რომ მხარს უჭერენ ქართული დემოკრატიის განვითარებას? რეალურ ინტერესებს ვგულისხმობ.**

– ევროპის ინტერესები საქართველოში მრავალრიცხოვანი და ძალზე მრავალფეროვანია: ეკოლოგია (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მთის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენაძ, ადამიანის უფლებები, ენერგია (მონაწილეობა ჰიდროელექტრორესურსების განვითარებაშიძ და კულტურა. პოლიტიკურ სფეროში ჩვენ საქართველოს ვეხმარებით, რათა არჩევნები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბიუროს წესების შესაბამისად ჩაატაროს. ყველა ევროპული სახელმწიფოს ინტერესია, საზღვრებთან ჰყავდეს სტაბილური, დემოკრატიული, პროგნოზირებადი და სანდო სახელმწიფო.

**– ხანდახან მეჩვენება, რომ დაპირებები საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების შესახებ ცარიელი სიტყვებია დასავლეთისთვის, უბრალოდ გულს არ გვიტეხენ იმ მშობლების მსგავსად, რომლებიც შვილებს საოცრებათა ქვეყანაში წაყვანას ჰპირდებიან, თუ ისინი კარგად მოიქცევიან. ვცდები?**

– მოდი, რეალისტები ვიყოთ: ევროკავშირი აღიარებს საქართველოს მისწრაფებას ევროპისკენ, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა, სწრაფად დაიწყოს გაფართოების ახალი ფაზა მაშინ, როცა წევრი ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკური აზრია, უარი ეთქვას უცხოელი მოსახლეობისთვის საზღვრების გახსნის პრინციპს. პოლიტიკა შესაძლებლისა და შეუძლებლის ჰარმონიული შეერთებაა. სხვათა შორის, ევროსაბჭოს სხდომაზე კოპენჰაგენში, 1993 წლის 21-22 ივნისს მოხდა გაწევრების პირობების შეხსენება, რომელთა შორის აღნიშნულია ეროვნულ უმცირესობათა პატივისცემა და დაცვა, ამ მხრივ კი წინსვლა უნდა განხორციელდეს, კერძოდ, ოსებისა და აფხაზების მიმართ.

**– საქართველოს, ქართველი ხალხის ისტორია და ლიტერატურა ადასტურებს, რომ ქართული და ევროპული ღირებულებები იდენტურია. ვგულისხმობ იმას, რომ ქართველი, როგორც მასალა, ევროპელია, ოღონდ რიგ ობიექტურ მიზეზთა გამო – გამოუცდელი. როგორ ფიქრობთ, საკმარისად ეხმარება ევროპა ქართველებს, რომ ნამდვილი დემოკრატიის აშენება შეძლონ?**

– ევროპა საუკუნეთა განმავლობაში შენდებოდა და, სხვათა შორის, უფრო მეტად – იდეებზე დაყრდნობით (განმანათლებლობა XVIII საუკუნეშიძ, ვიდრე სისტემებზე. ნელნელა გამოიკვეთა დემოკრატიული საყრდენი, რომელზეც ამჟამად ჩვენი ინსტიტუტები დგას. საქართველო საერთო მოძრაობას შეუერთდება მას შემდეგ, რაც გადაყლაპავს ეგრეთ წოდებული „ევროკავშირის მიერ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების“ დიდ აბს, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ტექსტებსა და წესდებებს, ნორმებსა და შეზღუდვებს. მაგრამ ეს რთული და ხშირად მტკივნეული პროცესია. საქართველოში მთელი ჩვენი საქმიანობის მიზანია, დეტალურად ავხსნათ ამ გამოცდილების მიზეზები, მისი დასაბუთება და სარგებლობა საქართველოსთვის.

**– შეაფასეთ ქართული მედია, მიუთითეთ მის ნაკლზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, ისედაც ვიცით, მაგრამ თქვენი აზრი გვაინტერესებს. გთხოვთ, დაარღვიოთ დიპლომატიური შეზღუდვები ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას. ქართული სიბრძნე ამბობს, რომ მეგობარს მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრა. თუ მეგობრებად მიგვიჩნევთ, მიგვითითეთ ჩვენს უარყოფით მხარეებზე.**

– უამრავ ანგარიშებშია აღწერილი ქართული მედიის სუსტი მხარეები: არხები, რომლებზეც ვერავინ გეტყვით, ვის ეკუთვნის; მთავარი რედაქტორები, რომლებიც თემებს თვითნებურად ირჩევენ; ჟურნალისტები, რომლებიც სამსახურის დაკარგვის შიშით თვითცენზურას მიმართავენ; პროფკავშირის არარსებობა საავტორო უფლებების დასაცავად; კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც უმრავლესობას საშუალებას აძლევს, შეუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელოს; დაპირისპირებული დებატების არარსებობა; მოკლედ, არასრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც პროვინციებში ხშირად ხელმისაწვდომი არ არის.

**– და ბოლოს, თქვენი საელჩოს ვებსაიტზე ვკითხულობთ, რომ საქართველოში არ არის უსაფრთხო კრიმინოგენური გარემო, არის ცუდი გზები და არანაკლებ ცუდი კლიმატი, რაშიც ვერ დაგეთანხმებით კატეგორიულად. მართლაც ასეთი საშიშ ადგილად მიგაჩნიათ საქართველო? მკითხველისთვის მივუთითებ ლინკს: http://www.ambafrance-ge.org/EssaiSPIP/spip.php?article307, ხოლო მათთვის, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმიუწვდომელია, მოვიტან ციტატას: „კლიმატური პირობები და მოუვლელი ასფალტის საფარი საგზაო მოძრაობას ხშირად რთულსა და სახიფათოს ხდის. სიჩქარის აკრძალვა ქალაქში 30კმ/სთ-ია, ხოლო გზატკეცილზე – 60 კმ/სთ... ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვარზე მძვინვარე კონფლიქტური სიტუაციებიდან გამომდინარე, უცხოელ მოქალაქეებს კატეგორიულად ეკრძალებათ შემდეგ რეგიონებში გამგზავრება: ჩრ. კავკასიის რესპუბლიკების მოსაზღვრე ზონები (ჩეჩნეთი, დაღესტანი, ჩრ. ოსეთი) და პანკისის ხეობა, სადაც ამჟამად დაახლოებით 4 000 ლტოლვილი იმყოფება; აფხაზეთისა და სამხ. ოსეთის სეპარატისტული ოლქები: ქართულ-აფხაზური შეტაკებების გახშირებისა და რეგიონში დაძაბული სიტუაციის გამო იკრძალება აფხაზეთისა და მაღალმთიან კოდორის ხეობაში (ჯერ კიდევ აფხაზეთის სვანეთი) გადაადგილება; თბილისიდან 60 კმ ჩრდილოეთის მიმართულებით გორის რაიონში, სამხ. ოსეთის მახლობლად, საკუთარი ავტომანქანებისა და სახელმწიფო ტაქსიზე თავდასხმების, განუკითხაობისა და ყველანაირი საქონლით უკანონო ვაჭრობის გამო გადაადგილება არაა რეკომენდებული; უცხოურ მანქანებზე გატაცებების მიზნით შეიარაღებული თავდასხმები ახლახან აღინიშნა თბილისში, ქუთაისში, უდაბნოში. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, ისევე, როგორც დედაქალაქში უსაფრთხოების რაიმე სერიოზული პრობლემა არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რიგით დანაშაულს (ქურდობა, ძარცვა). საერთო წესით, ღამე გადაადგილებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო“....**

– არ ვიცი, საიდან მოგაქვთ ყოველივე ეს. ერთადერთი რამ, რაც თავში მომდის „მოგზაურებისთვის განკუთვნილ რეკომენდაციებთან“ დაკავშირებით, არის სიფრთხილე გზებზე, რომლებიც მართლაც საშიშია საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუ არ მეთანხმებით, დასანანია, მაგრამ, რაც საქართველოში ჩამოვედი, ბევრი მეგობარი დავკარგე საგზაო კატასტროფებში. ამ საუბრის დასრულებისას მე მათზე ვფიქრობ.

ჟურნალი „თბილისელები“

იხ. 6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ექსპერტების აზრით

# ნიკა ჩიტიძე: ერიკ ფურნიეს განცხადებების საფუძველი საფრანგეთისა და რუსეთის საერთო ინტერესებში უნდა ვეძებოთ“



**ექსპერტი ნიკა ჩიტიძე საფრანგეთის ელჩს საქართველოში ერიკ ფურნიეს მოუწოდებს, „ჯერ საკუთარი ქვეყნის ისტორიას გადახედოს და სხვა სახელმწიფო შემდეგ აკრიტიკოს“.**

ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ **„საფრანგეთის ელჩმა საქართველოში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან გარკვეული დირექტივები მიიღო და ერიკ ფურნიეს განცხადებების საფუძველი საფრანგეთისა და რუსეთის საერთო ინტერესებში უნდა ვეძებოთ“.**

**„რუსეთსა და საფრანგეთს შორის საერთო ინტერესები გამოიკვეთა. ეს არამარტო „მისტრალს“, არამედ გაზსა და სხვა საკითხებსაც ეხება. შესაბამისად, საფრანგეთის ელჩის განცხადება შემთხვევითი არ იყო, ისევე, როგორც პრეზიდენტ სარკოზისა, რომლის თქმით, რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება შეასრულა. საუბარი იმის შესახებ, რომ 1920 წელს მენშევიკურმა ხელისუფლებამ ოსები გაჟლიტა, ტყუილია და საქართველოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. მაშინ რუსეთის წაქეზებით „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“ გამოცხადდა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ მართლაც შეიყვანა ცხინვალში ჯარები, რათა სეპარატიზმი აღეკვეთა. ეს სრულიად კანონიერი იყო და საქართველო თავის ტერიტორიაზე მოქმედებდა, განსხვავებით საფრანგეთისგან, რომელიც კოლონიალისტური სახელმწიფო იყო და მის მიერ დაპყრობილი კოლონიების ტერიტორია თავად საფრანგეთისას 21-ჯერ აღემატებოდა“,** — განაცხადა ჩიტიძემ.

რაც შეეხება ფურნიეს კიდევ ერთ განცხადებას იმის შესახებ, რომ **„1993 წლის 21-22 ივნისს გაწევრების პირობების შეხსენება მოხდა, რომელთა შორის აღნიშნულია ეროვნულ უმცირესობათა პატივისცემა და დაცვა, ამ მხრივ კი წინსვლა უნდა განხორციელდეს, კერძოდ — ოსებისა და აფხაზების მიმართ“, ექსპერტის თქმით, საქართველოში უმცირესობების უფლებები ყოველთვის დაცული იყო, განსხვავებით საფრანგეთისგან, რომელიც ჰუგენოტებისა თუ ებრაელების დევნით გამოირჩეოდა“.**

ნიკა ჩიტიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ფურნიეს შეფასებებს უნდა გამოეხმაუროს, თუმცა შედარებით რბილი და თავშეკავებული განცხადება გააკეთოს და ელჩს შეცდომისკენ მიუთითოს.

**ნინო ჩიჩუა.**
**„პირველი“**

# სოსო ცინცაძე: სანამ ფურნიე მენშევიკური მთავრობის ქმედებებს გააკრიტიკებს, გაიხსენოს, საფრანგეთი რას აკეთებდა ალჟირში



**— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ამ ინტერვიუში ერიკ ფურნიე პირად შეხედულებებს გამოთქვამს თუ ეს საფრანგეთის პოზიციაა?**

— მე არ მგონია, რომ ამ ინტერვიუში ფურნიე საფრანგეთის ოფიციალურ პოზიციას გამოხატავდა. ეს უფრო მისი პირადი პოზიცია იყო.

**— დიპლომატის მხრიდან რამდენად სწორი იყო მსგავსი განცხადების გაკეთება?**

— აღსანიშნავია, რომ არ მახსენდება სხვა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ელჩი ისტორიულ ამბებს უხსენებდა იმ ქვეყანას, სადაც მივლინებულია. დიპლომატიაში ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. მაშინ ჩვენც შეგვიძლია ფურნიეს გავუხსენოთ საფრანგეთში რა ხდებოდა ალჟირის ომის დროს, თუ გნებავთ, პირველი მსოფლიო ომის დროს.

თან ჩვენ უფრო მეტის გახსენება შეგვიძლია საფრანგეთისთვის, ვიდრე მათ ჩვენთვის. საფრანგეთს 80-ზე მეტი პარტია მართავდა და ახლა, რა ვქნათ, დავდგეთ და ვინც რა გააკეთა, გამოვეკიდოთ? ფურნიე რომ გვეუბნება, მენშევიკების დროს რა გააკეთეთ, იმას მიხედეთო, კარგად გადახედოს, რა გააკეთეს მენშევიკებმა ისეთი, რასაც საფრანგეთი არ აკეთებდა. ახლა დავდგეთ და ჩვენც ვუხსენოთ საფრანგეთს ძველი ქმედებები და იმათ ჩვენ? ესაა დიპლომატია?!

**— თქვენი აზრით, ფურნიე ვინმემ შეიყვანა შეცდომაში?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერიკ ფურნიეს განცხადება იყო უზუსტობა. საფრანგეთის ელჩი ცალმხრივად ეყრდნობა ოსურ წყაროებს. მას წარმოდგენა არ აქვს, რა მოხდა 1921 წელს ამ რეგიონში. იმ დროს, საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა, რომელიც არც ძლიერი იყო და არც არმია ჰყავდა, უცებ აღმოჩნდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი, პარალელურად აგრესია მოდიოდა სომხეთის მხრიდან. და აი, ამ მომენტით ისარგებლეს ოსებმა, რომლებსაც თვალი სულ რუსეთისკენ ეჭირათ და საბჭოთა რუსეთთან შეერთება უნდოდათ. მათ საშინელი, ბარბაროსული ფორმებით მოაწყვეს აჯანყება. მაშინ გამოდიოდა გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“. ამ გაზეთში დეტალებში იწერებოდა იქ განვითარებული მოვლენების შესახებ. შეუძლიათ ამოიღონ მაშინდელი ნომრები საჯარო ბიბლიოთეკიდან და ნახონ ფოტოები. რა სისასტიკე ჩაიდინეს ოსებმა სამაჩაბლოში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიმართ. მაშინ იყო პირველად, ქართველების მოჭრილი თავებით რომ თამაშობდნენ. ამოიღოს ვინმემ ის ფოტოები და გაუგზავნოს ფურნიეს!

ჩვენი გვარდია, რომელიც იყო მშიერი და ფეხშიშველი, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, წესრიგის დასამყარებლად ჩავიდა აჯანყებულ რეგიონში და დიდი წვალებით ჩაახშო აჯანყება. ეს მოხდა და მეტი არაფერი. მერე ჯუღელი ამის გამო ბოლშევიკებმა დახვრიტეს. ფურნიეს არ აქვს ეს მონაცემები. ეტყობა მხოლოდ ოსური ან რუსული წყაროები წაიკითხა.

**— რა მიიღო საფრანგეთის ელჩმა ამ განცხადებით, დღეს რაში დასჭირდა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ამბების გახსენება?**

— ეს განცხადება მოჰყვა ჟურნალისტის კითხვას, საფრანგეთი რატომ არ გვეხმარება „მედვედევი-სარკოზის შეთანხმების“ სრულად შესრულებაშიო. ფურნიემ სარკოზის დაცვა სცადა, თქვა, რომ შეთანხმება როგორ არ შესრულდა, თქვენს თავს მიხედეთ, პრობლემა თქვენშიაო.

ეს არ იყო დიპლომატის განცხადება. არ ვიცი, ფურნიე რა დონის დიპლომატია, ისე კი, ნამუშევარია სხვადასხვა ქვეყანაში. მისი, როგორც ელჩის მოვალეობაა საფრანგეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და ქართული საზოგადოებისადმი მეტი ლოიალობის გამოჩენა. ამ მოვალეობას კი ეს განცხადება არ უპასუხებს.

**„მედიანიუსი“**

## განსჯა

# გიგი უგულავა: ოპოზიცია ხალხს „ანტი-მიშას“ სთავაზობს, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა“ სურს

(მეოთხე გვერდიდან)

**— ბოლო პერიოდში გატარებული რადიკალური რეფორმების გამო საქართველოს ბევრი აქებს, განსაკუთრებით — კორუფციასთან ბრძოლის სფეროში. თქვენს უწყებაში როგორაა საქმე? ხშირად იღებენ თუ არა ჩინოვნიკები ქრთამს?**

— მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა კორუფციის ნულოვანი დონით, თუმცა ჩვენთან სისტემური კორუფცია ამოძირკვულია. ადრე საქართველო ამ კუთხით ცუდი მაგალითი იყო. მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ოდესღაც ყველაზე კორუმპირებული სტრუქტურა ქართული „გაი“ იყო. დღეს კი, გამოკითხვების შედეგების თანახმად, მოსახლეობის 98%-ს ქრთამი არასოდეს მიუცია და არც გაუგია, რომ ვინმეს მიეცა. ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მექრთამეობის ცალკეული შემთხვევები ჩვენთანაც არსებობს, თუმცა ეს ადამიანები ან ციხეებში არიან, ან ჯარიმდებიან.

**— როგორ მიაღწიეთ ამას?**

— პირველ რიგში, ამისთვის სამართალდამცველი ორგანოების რეფორმა ჩატარდა. მეორეც, ამან პოლიტიკური ნება მოითხოვა. ქაღალდზე შეიძლება დაწერო ყველაფერი, რაც სასარგებლოა, თუმცა თუ ნება და საჭირო ინსტრუმენტები არ არსებობს, არაფერი გამოვა.

**— როგორია ამჟამად თბილისში კრიმინოგენური სიტუაცია?**

— აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს შორის თბილისი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა. ასეთ მაგალითს მოვიყვან. 1990-იან წლებში ყველა ეზოში ავტოფარეხები გაჩნდა, ახლა კი ისინი აღარ არსებობს, რამდენადაც საჭიროება აღარ არის: მანქანებს უკვე აღარ იპარავენ. ქუჩის დანაშაული მინიმუმამდე შემცირდა. პოლიციის მუშაობის გარდა, ამის მიღწევა ღამით ქალაქის კარგად განათებით, საერთო მოვლილობისა და უსაფრთხოების შეგრნების შექმნით გახდა შესაძლებელი.

**— სხვათა შორის, შარშან მე ვიყავი თბილისში და გამაოგნა იმან, რომ ქალაქი ასე ლამაზი და ღამით ერთიანად განათებულია. ისეთი არცთუ მდიდარი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ძვირი სიამოვნება არ არის?**

— როგორც უკვე ვთქვი, განათება პირველ რიგში, საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. რაც შეეხება დეკორატიულ განათებას, იგი მხოლოდ თბილისის ცენტრშია და არც ისე ძვირი ჯდება. სხვათა შორის, ათი წლის წინათ თბილისში მოსახლეობა ელექტროენერგიას გრაფიკით იღებდა, ახლა კი საქართველო იმდენ ელექტროენერგიას აწარმოებს, რომ მის ექსპორტსაც კი ახორციელებს.

**— რამდენად მაღალია ქალაქში უმუშევრობის დონე? რიგაში იგი 9%-ს შეადგენს...**

— სამწუხაროდ, ის კვლავ მაღალია — დაახლოებით 25%, საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით კი — 16%. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამუშაოს პოვნის იმედით დედაქალაქში რაიონებიდან ბევრი ადამიანი ჩამოდის. უმუშევრობა ჩვენთვის ამჟამად ყველაზე დიდი პრობლემაა.

**— თქვენი აზრით, ბალტიისპირეთის სამი ქვეყნიდან რომელი უფრო აქტიურად მუშაობს საქართველოში — როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში?**

— მე ზუსტი მონაცემები არ მაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობა აქვს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც პირდაპირი ავიამიმოსვლა აქვს. AirBaltic-ის თვითმფრინავები რიგიდან თბილისში კვირაში რამდენიმე რეისს ასრულებენ და როდესაც მე აქ მოვფრინავდი, ლაინერი პრაქტიკულად სავსე იყო.

**მაკა ბრეგვაძე,**
**„პირველი“**

## გამოხმაურება

# სოსო ცისკარიშვილი: ნაციონალური მოძრაობის“ ბაზაზე „გაუმჯობესებული მიშას“ შექმნის რესურსი არ არსებობს



**ასე გამოეხმაურა ექსპერტი თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებას იმის შესახებ, რომ „ოპოზიცია ხალხს „ანტი-მიშას“ სთავაზობს, ხალხს კი „გაუმჯობესებული მიშა“ სჭირდება“.**

რაც შეეხება წინადადების პირველ ნაწილს — ოპოზიციის მხრიდან ხალხისათვის „ანტი-მიშას“ შეთავაზებას, ცისკარიშვილის აზრით, მას შეიძლება, სხვადასხვაგვარი შეფასებები ჰქონდეს.

**„კერძოდ, თუ, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის უარყოფით ქმედებებს ვიქონიებთ მხედველობაში, ამ შემთხვევაში „ანტი-მიშა“ ოპოზიციისთვის კომპლიმენტად ჟღერს“** — განმარტა მან.

ზოგადად კი, ექსპერტის აზრით, უგულავას ეს განცხადება მისთვის მმართველი გუნდის მიერ არის ნაკარნახები, „სხვა შემთხვევაში მას „ნაციონალური მოძრაობა“ და, პირველ რიგში, თავად სააკაშვილი ჩაქოლავდნენ“.

ამასთან, მისი აზრით, **„უგულავას პოლიტიკური გააქტიურება, როგორც წესი, წინასაარჩევნო გააქტიურებად აღიქმება ხოლმე, თუმცა იმის თქმა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებზე უგულავას კანდიდატურას დააყენებს, ჯერჯერობით ნაადრევია“.**

**„გააჩნია, რა ხასიათზე გაიღვიძებს მიხეილ სააკაშვილი კანდიდატურის დასახელების დღეს“,** — დასძინა ცისკარიშვილმა.

**ხათუნა გაგნიძე,**
**„პირველი“**

## ინფორმაცია

### თალიბების თავდასხმას ქართველი სამხედრო შეეწირა

**ავღანეთში, თალიბების თავდასხმის შედეგად ერთი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის გარდა, რამდენიმე სამხედრო მძიმედ დაშავდა. არაოფიციალური ინფორმაციით, დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და სამ მათგანს სხეულის სხვადასხვა კიდურების ამპუტაცია ჩაუტარდა.**

ჯი-ეიჩ-ენი



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დედაქალაქი

# კოოპერატიული ბინათმშენებლობა: მეოთხედი საუკუნის სიგრძის ფარსი

**საცხოვრისის ქონების უფლება, სხვას რომ თავი დავანებოთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთ ყოვლისმომცველ დოკუმენტშია დეკლარირებული, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ამდენად, სახელმწიფო, რომელიც თუნდაც ერთ თავის მოქალაქეს საცხოვრისის ქონების შესაძლებლობას უკარგავს, ამით დეკლარაციის ამ ფუძემდებლურ პრინციპს თელავს, მაშასადამე ადამიანის უფლებას უხეშად არღვევს. სწორედ ასე უნდა შეფასდეს ის ვითარება, რომელიც სადღეისოდ იმ დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემის გამო შეიქმნა, რომელიც აგერ უკვე ოც წელიწადზე მეტ ხანს (!) გრძელდება და რომლის გადაჭრის გზა არა და არ გამოჩნდა.**

შეჩერებული თუ გაყინული კოოპერატიული ბინების მშენებლობის დასრულების მომლოდინე ქვეყანაში დაახლოებით რვა ათასი კაცია, მათ შორის თბილისში – სამნახევარი ათასი. ეს ის ხალხია, ვინც ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე კოოპერატიული ბინების ასაშენებლად – დაახლოებით 1987-88-89 წლებში, პირველი შესატანები შეიტანეს. სახლების ასაშენებლად დრო იყო საჭირო, მაშინდელი ვითარება კი – უკიდურესად დაძაბული... შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში კარდინალურად შეიცვალა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხელისუფლების სათავეში ეროვნული მთავრობა მოვიდა...

– იმის გამო, რომ ხელისუფლებამ იკისრა სახელმწიფო ვალდებულება დაუსრულებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის მეპაიეების მიმართ, მაგრამ მშენებლობის გასაგრძელებლად ხაზინაში საამისოდ საკმარისი თანხები არ იყო, საქართველოს მთავრობამ 1992 წლის ოქტომბერს გამოსცა №983 დადგენილება „კოოპერატიული ბინათმშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაციის შესახებ“, სადაც, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ 106 კოოპერატიული სახლის მშენებლობისთვის 1984 წელს თუ საჭირო იყო 155 მილიონი მანეთი, 1992 წლის ფასებით ეს თანხა 3 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ამიტომ **„იმ კოოპერატივებს, რომელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაწყებულია 1992 წლის 1 იანვრამდე, ან ამ პერიოდში შეტანილი აქვთ საბანკო დაწესებულებებში პირველი საპაიო შესატანები, მშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის თანხა მიეცათ რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე“** – ამბობს თბილისის საკრებულოს დეპუტატი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისგან **ჯაბა სამუშია**. – იმ სახლების მშენებლობას, რომლებიც 75 პროცენტით იყო აგებული დააფინანსებდნენ და ფასთა სხვაობას ადგილობრივი ორგანოები განახორციელებდნენ, ხოლო იმ კოოპერატივების წევრებს, რომლებსაც პირველი საპაიო შესატანები 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ ჰქონდათ შეტანილი, კოოპერატიული სახლების მშენებლობის ღირებულება მთლიანად თავად უნდა გადაეხადათ. ხალხმა ეს გააკეთა კიდეც.

შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური კოლაფსი დაიწყო, რომლის დროს კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის აღარავის ეცალა. მაგრამ, ისმება კითხვა: **იმ ხალხმა რა დააშავა, ვინც ახლის მიღების იმედით ძველი ბინა გაყიდა, რასაც ბოლო დანაზოგი ფულიც დაამატა, კოოპერატივში შეიტანა და... უსახლკაროდ დარჩა?!** სადღეისოდ მარტო თბილისში რამდენიმე ასეული ასეთი ადამიანია, ვინც იმ დროიდან მოყოლებული ქირით ცხოვრობს, რომელსაც საკუთარი ჯიბიდან იხდის.

– დაახლოებით 1992-1993 წლებში კოოპერატიულ ბინათმშენებლობის შექმნილ მძიმე ვითარებაში თითქოს შუქის სხივმა გამოანათა, რადგან ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტა, – განაგრძობს ჯაბა სამუშია. – **კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში მეპაიეთა მიერ შეტანილი თანხები მთავრობამ შიდა ვალად აღიარა და წარმოშობილი დავალიანების გასტუმრების კონკრეტული სქემის შემუშავება დაიწყო.** გარკვეული შედეგებიც კი იყო, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამას, ცოტა არ იყოს, ეჭვებიც ახლავს. – საქმე ის არის, რომ **მაშინ რამდენიმე ათეულმა ოჯახმა სოლიდური ფულადი კომპენსაცია მიიღო, მაგრამ იყო თუ არა იქ კორუფციული გარიგებები, ამის დანამდვილებით თქმა არ შემიძლია.**

მთავრობის 1992 წლის №983 დადგენილებამ, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, ერთი დავიდარაბა გამოიწვია. მაგალითად, იყო ხალხი, ვინც ბოლომდე დაუმთავრებელი სახლების უკვე აშენებულ ბინებში შედიოდა საცხოვრებლად, რადგან სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი სხვაც იყო, რომელსაც ბინა... აუშენებელ სართულზე ხვდებოდა... ჰაერში და იყო ერთმანეთში ათასი საქმის გარჩევა – შენ რატომ გეკუთვნის ბინა და მე რატომ არაო...

2004-05 წლებში კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის გარკვეული თანხები გამოიყოფოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდი იყო, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი გამუდმებით იკვეცებოდა და ერთ-ერთი პირველი მუხლი, რომელიც შემცირებაში ყვებოდა, სწორედ კოოპერატიული ბინათმშენებლობა იყო. ამის გამო ამ პრობლემის გადაჭრა მაშინ ვერაფრით მოხერხდა.

ბატონ სამუშიას თქმით, საგულისხმო მომენტია აღნიშნული პრობლემით ბევრი პოლიტიკოსის მანიპულირება. არაერთმა მათგანმა ეს თემა არც მთლად კეთილსინდისიერად გამოიყენა სხვადასხვა დონის საარჩევნო კამპანიის დროს, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ პრობლემის მარტივად გადაჭრა ვერ მოხერხდებოდა. **საიმისოდ კი, დაუსრულებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხი რომ გადაწყდეს და დღის წესრიგიდან მოიხსნას, უწინარესად, პოლიტიკური ნებაა საჭირო. ამის დასადასტურებლად, შემიძლია გითხრათ, რომ, მაგალითად, თბილისში, თუნდაც ის კოშმარული შუშის ხიდი რომ არ აეგოთ, დედაქალაქში სადღეისოდ „გაყინული“ კოოპერატიული ბინების 50-60 პროცენტი მაინც აშენდებოდა და წლების მანძილზე ტყუილ-უბრალოდ ნატანჯი, დაზარალებული ხალხი შვებით ამოისუნთქავდა.**

**არადა, ეს ხალხი, ფაქტობრივად, ყველა პირობაზეა თანახმა, ოღონდ მთავრობამ ჭერი მისცეს – ხაზს ვუსვამ: უკვე შესყიდული და, მაშასადამე, კანონით კუთვნილი!** – თუნდაც ეს ეგრეთ წოდებული „შავი კარკასით“ იყოს. არადა, განა ვინმესთვის უცნობია, რომ ასეთი „შავკარკასიანი“ სახლის საცხოვრებლად ვარგისად გადაქცევა საკმაოდ ძვირი „სიამოვნება“ რომაა? წარმოგიდგენიათ, რა დაჯდება იქ კომუნიკაციების შეყვანა, ბინების რემონტი, ლიფტების დამონტაჟება და ა. შ?!

წელანაც ვთქვი და გავიმეორებ: ყველა დონის არჩევნების დროს ბევრ პოლიტიკოსს დაუსრულებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემა ახსენდება, შემდეგ კი ძალიან გულმშვიდად ავიწყდება. თუმცა ამის თქმა მთლად მართებული არ არის, ვინაიდან 2001 წლის 12 დეკემბერს თბილისის საკრებულომ ვლადიმერ კახაძის თავმჯდომარეობით № 10-6 გადაწყვეტილება მიიღო „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინების დაუკმაყოფილებლობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. მოკლედ რომ ვთქვა, **არსებულ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ხალხს კოოპერატიული ბინების ნაცვლად, თბილისის ფარგლებში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაურიგებდნენ – ვისაც რამდენი ეკუთვნოდა იმდენს და შემდგომ მათ სახელმწიფოსთან არანაირი პრეტენზია აღარ ექნებოდათ.** დაზარალებული ხალხი ამასაც დათანხმდა, სათანადო სამსახურის კარი, რომ იტყვიან, ატალახებული იყო, მაგრამ მერე, როგორც ჩანს, მოხელეებს აღარც ეს დაუჯდათ ჭკუაში და 2010 წელს თბილისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება პროცესის შეწყვეტის შესახებ „სიების საბოლოო დადგენამდე“. მოკლედ ასე გამოვიდა: კი გეკუთვნით რაღაც მაინც, მაგრამ, აბა, მოდი ერთი „სპისოკი“ ვნახოთო... არადა, საქმე მხოლოდ სათანადო დოკუმენტზე ხელმოწერამდე იყო მისული, მიწის მრავალი ნაკვეთი მოზომილიც იყო, რომლებიც დაახლოებით 1200 ოჯახს უნდა მიეღო... სხვა რა ვთქვა, არც თუ ლამაზი ფარსი გათამაშდა.

**ამდენად, ამ საკითხთან მიმართებაში ვითარება კვლავაც გაურკვეველია, ამიტომ თბილისის საკრებულოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხთან დაკავშირებით კომისია შევქმენით, რომელიც სადღეისოდ სათანადო დოკუმენტაციის შემუშავებაზე მუშაობს და ამ საკითხის „მკვდარი წერტილიდან“ დაძვრას ცდილობს. ამნაირი კომისიის შექმნაზე, რომელშიც პრობლემების გადაჭრით დაინტერესებულ პირთა წარმომადგენლები და საქმის შესრულებისთვის პასუხისმგებელი პირები შევიდოდნენ და კოოპერატიული ბინების მიმღებთა საბოლოო სიებს დაადგენდნენ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ უარი განაცხადა. მაშინ ასეთი კომისია, რომლის თავმჯდომარე გახლავართ, საკრებულოში შევქმენით და, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების იურიდიული უფლება არა გვაქვს, მის ფარგლებში შესაბამის მუშაობას ვეწევით, ჩვენს მოქალაქეობრივ და ზნეობრივ ვალს ვიხდით მოტყუებული ხალხის წინაშე.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ანტიგეოპოლიტიზმი

***ახლახან EuropeanVoice.com-ზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ევროპისა და საქართველოს ურთიერთობებს ეხება. სტატიის ავტორი აცხადებს, რომ ჟურნალ Economist-ში ცენტრალური და აღმოსავლეთ-ევროპის საკითხების კორესპონდენტია, თუმცა საკუთარ ვინაობას არ ამხელს. ამის მიუხედავად, სინამდვილეში სტატია ძალიან ჰგავს ბოლო დროს ჟურნალ Economist-ში საქართველოზე გამოქვეყნებულ ტიპურ სტატიებს. ამ გამოცემამ, როგორც ჩანს უარი სთქვა ობიექტურობის ილუზიის შექმნაზეც კი და დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის სადიდებელი ოდების გამოქვეყნება, რომლებიც თითქოს დაკვეთითაა დაწერილი. ასეთი სტატიის ტიპური მაგალითის ნახვა აქ შეგიძლიათ.***

# დაძაბულობის ატმოსფერო, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში კარგს არაფერს არ მოუტანს არც ევროპას და არც საქართველოს მოსახლეობას

## მორიგი სისულელე ჟურნალ ECONOMIST-ისგან

ზემოთ ხსენებული სტატიის მთავარი გზავნილი ის არის, რომ ევროპამ არ უნდა შეიმჩნიოს ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევები, დემოკრატიის დეფიციტი და საქართველოს არაპროგნოზირებადი საგარეო პოლიტიკა და ამის ნაცვლად კვლავ მჭიდრო კავშირები უნდა გააბას ამ გზააბნეულ კავკასიელ „მოკავშირესთან“. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თუ ევროპა საქართველოს მხარდაჭერისგან თავს შეიკავებს, ეს რუსეთს „წააქეზებს“, რაც ამ სტატიის თანახმად „სახიფათო პრეცედენტს“ შექმნის. თუ არ ჩავთვლით ცივი ომის სულისკვეთებით გამსჭვალულ მარტივ თხრობას და თამაშს ნულოვანი საწყისით, თავად სტატია საქართველოს მიმდინარე სიტუაციაზე იმდენად სავსეა ნახევართქმებით, ფაქტების დამახინჯებებით და აშკარა ტყუილებით, რომ არც კი ვიცი, რით დავიწყო...



არასერიოზულია ავტორის დაჟინებული განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველო „საბაზრო, მრავალპარტიული, სამართლებრივი წარმატების ისტორიაა, შემდეგი გაჩერება (...ძ სამხრეთ-კორეის შემდეგ“. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მთავრობა ცნობილია თავისი ძალისმიერი მიდგომებით ეკონომიკური განვითარებისადმი, რაც მოიცავს ზეწოლას კერძო ინვესტორებზე წარმოუდგენელი საგადასახადო პრეტენზიებისა და პოლიტიკურად მოტივირებული ანტიკორუფციული ხაფანგების დახმარებით. საქართველოში სასამართლო თავისუფალი არ არის და გამამტყუნებელი განაჩენების 99%-ს იწონებს, რაც უბრალოდ წარმოუდგენელია ნებისმიერი განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში. სიცოცხლით სავსე მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ნაცვლად, საქართველოს პარლამენტში დომინირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რაც ქვეყანას რეალურად ერთპარტიულ სახელმწიფოდ აყალიბებს. სულ უფრო გახშირდა ცილისმწამებლური კამპანიები პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, ხოლო აფეთქებების სერია საქართველოს დედაქალაქ თბილისში და სხვა ქალაქებში, რაშიც რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ, რომლებიც თითქოს გამოყოფილი აფხაზეთის ტერიტორიიდან მოქმედებენ, აბსოლუტურად შესაძლებელია იყოს „ოპერაცია სხვისი დროშის ქვეშ“ საქართველოს მთავრობის მონაწილეობით, თუკი ეს მართლაც ასეა, ეს პირველი შემთხვევა არ არის.

და ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი: ავტორი აზვიადებს საქართველოს ეკონომიკის ფისკალურ სიჯანსაღეს და არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში საქართველოს ეკონომიკის შედარებითი სიჯანსაღე დიდწილად ფართომასშტაბიან საგარეო სესხებს და დასავლეთის ქვეყნების სერიოზულ ეკონომიკურ დახმარებას ეფუძნება. ამ დახმარებამ მოიცვა 4.6 მილიარდი დოლარის ერთჯერადი ტრანში უმალ 2008 წლის ომის შემდეგ იმ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლართან ერთად, რომელსაც ქვეყანა ყოველწლიურად იღებს. ამ დახმარებამ მახინჯი გავლენა მოახდინა შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზე, გაუხანგრძლივა რა სააკაშვილის რეჟიმს სიცოცხლე იმ ვადის მიღმა, როდესაც მას თავისი პოლიტიკური შეცდომების გამო კრახი უნდა განეცადა, თუმცა შესაძლოა განკითხვის ჟამი ახლოვდებოდეს, რადგან დასავლეთის ფინანსური დახმარება იწურება, ხოლო საქართველოს სუვერენული ვალის მომსახურება, რომელიც დღეს ცხრა მილიარდ დოლარს აჭარბებს და მშპ-ს დაახლოებით 25-30%-ს შეადგენს, რთული იქნება უხალოეს მომავალში პირდაპირი ინვესტიციების დაბალი დონისა და იმპორტის და ექსპორტის მზარდი დისბალანსის გამო.

მთლიანობაში საქართველოსადმი, ან უფრო ზუსტად, სააკაშვილის რეჟიმისადმი ახალი უპირობო მხარდაჭერა, რომლისკენაც ავტორი ევროპას მოუწოდებს, ძალიან არადროული იქნება და საბოლოო ჯამში ქვეყანაში გააძლიერებს მთელ რიგ ნეგატიურ ტენდენციებს. ეს ტენდენციები მოიცავს პრობლემათა ისეთ სპექტრს, როგორიცაა დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუარესება, უცხოურ დახმარებაზე გახანგრძლივებული დამოკიდებულება და არაპროგნოზირებად პოლიტიკურ თავგადასავლებსა და სახიფათო კონფრონტაციაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა. ეს დაძაბულობის ატმოსფერო, გრძელვადიან პერსპექტივაში არაფერ კარგს არ მოუტანს არც ევროპას და არც საქართველოს მოსახლეობას.

**თამარ ბედოიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



# ომის დაწყების

## 1941 წლის 22 ივნისს მოლოტოვს რადიოთი

ომის პირველი დღის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცანა მოლოტოვის გამოსვლაა რადიოთი. რატომ არ გამოვიდა თავად სტალინი – ბელადი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი? რატომ დაიწყო მოლოტოვის გამოსვლა 1941 წლის 22 ივნისს მხოლოდ 12.15 საათზე, თუმცა გერმანიის თვითმფრინავები ბომბავდნენ უკვე საზღვრისპირა აეროდრომებს დილის 4 საათიდან, ჰებელსმა დაიწყო რადიოთი ფიურერის მიმართვის წაკითხვა გერმანელი ხალხისადმი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებასთან დაკავშირებით 6.30 საათზე (ბერლინის დროით), რიბენტროპის პრესკონფერენცია კი დაიწყო 7.30 საათზე (ბერლინის დროით).

დაბოლოს, პირველ დაბომბილ საბჭოთა ქალაქებს შორის მოლოტოვის სიტყვაში რატომ იყო დასახელებული მხოლოდ ოთხი – ჟიტომირი, კიევი, სევასტოპოლი და კაუნასი, თუმცა წითელი არმიის გენერალური შტაბის პირველი ოპერატიული ცნობის თანახმად, 1941 წლის 22 ივნისს დაიბომბა აეროდრომები, რომლებიც განთავსებული იყვნენ 33 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში? მოლოტოვის მიერ დასახელებული ოთხი ქალაქიდან კი გენერალური შტაბის ცნობაში მითითებული იყო მხოლოდ ერთი – კაუნასი (კოვნო); გენერალური შტაბის ცნობების თანახმად, მომდევნო დღეებში სევასტოპოლი და კიევი პირველად დაიბომბნენ 1941 წლის 24 ივნისს, ჟიტომირის დაბომბვა გერმანელების მიერ უსათუოდ იყო, მაგრამ რატომღაც არ არის ეს დაფიქსირებული გენერალური შტაბის ოპერატიულ ცნობებში.

არის რამდენიმე განმარტება იმისა, თუ რატომ არ გამოვიდა ომის პირველ დღეს სტალინი.

1) პოლიტბიურომ გადაწყვიტა, რომ ის უნდა გამოსულიყო, მან უარი განაცხადა. ასე ვთქვათ, დაარღვია პარტიული დისციპლინა. ა.ი. მიქოიანის ცნობით კი ეს ასე გამოიყურება: „გადავწყვიტეთ, რომ რადიოთი ომის დაწყებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გამოსვლა, რასაკვირველია, შევთავაზეთ, რომ ეს გაეკეთებინა სტალინს, მაგრამ სტალინმა თქვა: „დაე, მოლოტოვი გამოვიდეს“. ჩვენ ყველა ამის წინააღმდეგი ვიყავით: ხალხი ვერ გაიგებს... მაგრამ ჩვენმა საუბრებმა შედეგი არ გამოიღო. რადგანაც სტალინი დაჟინებით ამბობდა უარს, გადავწყვიტეთ, რომ დაე, მოლოტოვი გამოვიდეს... რასაკვირველია, ეს შეცდომა იყო. მაგრამ სტალინი ისეთ დათრგუნულ მდგომარეობაში იყო, რომ იმ მომენტში არ იცოდა, თუ რა ეთქვა ხალხისთვის“. ჩემი აზრით, სტალინისთვის ვინმეს რაიმეს დავალდებულება იმ დროს არავის შეეძლო, ამის შესახებ საუბარიც არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, დათრგუნული მდგომარეობა კი, ალბათ, აუცილებლად იყო. აქედან წარმოიშვა მისი გამოუსვლელობის მიზეზის რამდენიმე ვარიანტი.

2) სტალინი შოკში იყო და გაემგზავრა ერთ-ერთ თავის აგარაკზე.

3) სტალინს უნდა განესაზღვრა, თუ რა ხდება. ვინაიდან, როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ კონფლიქტთან დაკავშირებულ მოვლენებს მოაგვარებდა ხალხინ–გოლის მსგავსად. ამის შესახებ ფ. ჩუევს უამბობდა ვ.მ.მოლოტოვი: „მას არ სურდა პირველი გამოსულიყო, საჭირო იყო უფრო ნათელი სურათი... მან თქვა, რომ დაიცდის რამდენიმე დღე და გამოვა, როდესაც გაირკვევა მდგომარეობა ფრონტებზე“. ეს ძალიან ჰგავს სიმართლეს, თუმცა მკაცრ სიმართლეს. ეს იგივეა, რომ გამოუცხადო აისბერგს შეტაკებული „ტიტანიკის“ მგზავრებს: „კაპიტანი გამოსცემს თავის გადაწყვეტილებას, როდესაც გაერკვევა სიტუაციაში!“.

4) სტალინი იყო ავად, ჰქონდა ყელის დაჩირქება, და ხმა დაკარგა, ამიტომ არ შეეძლო გამოსვლა.

5) სტალინი უბრალოდ არ იყო მოსკოვში – როგორც რამდენიმე უცხოელი ისტორიკოსი, კერძოდ, რ.პეინი და რ.ბრაკმანი ამტკიცებენ, 1941 წლის 19 ივნისს ის მატარებლით ჟდანოვთან ერთად სოჭში გაემგზავრა შვებულებაში. მე ვუშვებ, რომ ამ მატარებლით მათთან ერთად კიევამდე მგზავრობდა ხრუშჩოვიც.

უკანასკნელი ვარიანტი ყველაზე რეალურად მეჩვენება, თუმცა ამის წინააღმდეგ აჟღერებენ „შეუქცევად“ დასკვნას – აიო, სტალინი განუწყვეტლივ (ორი დღის – 29 და 30 ივნისის გარდა) აგრძელებდა თავის კაბინეტში ხალხის მიღებას, რის შესახებაც აღნიშნულია „კრემლის ჟურნალის“ ჩანაწერებში 1941 წლის 19 ივნისიდან 8 ივლისამდეო (ივლისის ამ დღეს ბელადი აბსოლუტურად ზუსტად მოსკოვში იყო, ვინაიდან თავის კაბინეტში მიიღო ინგლისის ელჩი კრიპსი).

მაგრამ აი, რა საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინე „კრემლის ჟურნალის“ გულდასმითი შესწავლის დროს – თურმე, 1927 წლიდან მასში წერდნენ ყველას, ვინც გადააბიჯებდა სტალინის კაბინეტის ზღურბლს, იმისგან დამოუკიდებლად, იმყოფებოდა თუ არა თავად ბელადი შიგ. ბელადის არყოფნის დროს კაბინეტში პირველი შედიოდა ის, ვისაც იგი თავის ნაცვლად ტოვებდა, – ჩვეულებრივად ეს იყო მოლოტოვი (მან ხომ 41 წლის 22 ივნისს მას ანდო თავის ნაცვლად მიემართა ხალხისთვის და ეცნობებინა ომის დაწყების შესახებ, რატომ არ შეიძლებოდა მისთვის კაბინეტიც ენდო?). 30-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც სამხრეთში შვებულებაში მიდიოდა, სტალინი თავის ნაცვლად ტოვებდა მოლოტოვს ან კაგანოვიჩს. ისინი მის კაბინეტში ღებულობდნენ ხალხს, მაგრამ ჟურნალის ჩანაწერების ფორმაში ეს არანაირად არ აისახებოდა. ჩანაწერების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ხნის განმავლობაში სტალინი თავის კაბინეტში იმყოფებოდა. მოგვიანებით, 1953 წლის მარტში, სტალინი ინსულტით წევს კუნცოვოს აგარაკზე, 2 მარტის ჩანაწერებით კი მასთან კაბინეტში (1953 წლის 5 მარტამდე მას ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო ეწოდებოდა) პოლიტბიურო სრული შემადგენლობით ორჯერ იყო.

სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს, მაგრამ ყოველდღიურად 5-დან 9 მარტამდე პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები კვლავ არიან „მიღებაზე“ მის კაბინეტში. და ჩანაწერებიც ჟურნალში ამ დღეებში აბსოლუტურად არ განსხვავდებიან იმ დროის ჩანაწერებისგან, როდესაც კაბინეტში თავად სტალინი იყო. როგორც ჩანს, მომსვლელთა ჩანაწერები ხდებოდა სპეციალურად რეჟიმისა და დაცვისთვის, ამიტომ ყოველდღიურად ფიქსირდებოდა, როგორც ეს მიღებულია, ყველა მომსვლელი. ალბათ, მდივნის მისაღებში მორიგე ცნობებს მომსვლელების შესახებ ყოველდღიურად აბარებდა ბელადის დაცვის უფროსს, ამიტომ ეს ჩანაწერები კეთდებოდა არა ჟურნალში ან რვეულში, არამედ ცალკეულ ფურცლებზე. მაგრამ ასპროცენტიან დადასტურებად იმის მიჩნევა, რომ მომსვლელთა მიღების დროს სტალინის კაბინეტში თავად იყო იგი, ეს ჩანაწერები არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. დაწვრილებით საკითხი იმის შესახებ, თუ სად იყო სტალინი 1941 წლის 19 ივნისიდან 3 ივლისამდე, ჩემს მიერ განხილულია წიგნებში „დიდი სამამულოს უდიდესი საიდუმლოება („ახალი ჰიპოთეზა“ და „გასაღები საიდუმლოს ამოხსნისთვის“), მე აქ მომყავს საგარეო პოლიტიკის არქივში აღმოჩენილი მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ ამ შეკითხვას. ეს დოკუმენტი სამეცნიერო მიმოქცევაში შეიყვანა გ.ნ.პესკოვამ, რომელმაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დოკუმენტური დეპარტამენტის საინფორმაციო ბიულეტენში გამოაქვეყნა თავისი სტატია „ჩვენი საქმე სამართლიანია“ (როგორ მზადდებოდა მოლოტოვის გამოთვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს).

პესკოვამ მისი შექმნის შესახებ ასე დაწერა: „როდესაც სტალინის კაბინეტში იჯდა, მოლოტოვმა დაწერა ხალხისადმი მიმართვის თავდაპირველი ვარიანტი, რომლის ფაქსიმილეც პირველად იბეჭდება. მასზე არის მოლოტოვის ხელით გაკეთებული ჩასწორებები... „როდესაც რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკის არქივში გავეცანი „მოლოტოვის სიტყვის შავ პირს“, მე თვალნათლივ დავინახე მასში მოლოტოვის ხელით შეტანილი შესწორებები. ჯერ ერთი, „გამოსვლის შავი პირი“ თავდაპირველად დაწერილი იყო მოლოტოვის მიერ აშკარად არა თავისი, არამედ უფრო მეტად სტალინის სახელით, ვინაიდან თავდაპირველად მოლოტოვი მასში ნახსენები იყო მესამე პირში. მეორეც, ტექსტიდან ამოშლილი იყო საბჭოთა აეროდრომების დაბომბვის ხსენება. მესამეც, შავი პირი წარმოადგენდა სავსებით დასრულებულ ტექსტს, თუმცა იყო რამდენიმე ავტორისეული ჩასწორება, გაკეთებული დაწერის პროცესში.



მაგრამ არის ისეთი ჩასწორებებიც, რომლებიც შეიტანა მოლოტოვმა, როგორც ჩანს, მისი წაკითხვის დროს ვილაცისთვის. ძირითადად ეს ნაკლებმნიშვნელოვანი შესწორებებია – მაგალითად, „თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს“ შეიცვალა შემდეგი ტექსტით „დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას“; „გახსნეს დაბომბვა“ – „დაბომბეს“ და ა.შ. მაგრამ არის ერთი ადგილი, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ კორექტირების ავტორი. მოლოტოვის ვარიანტი მთავრდება სიტყვებით: „... მიაყენებენ გამანადგურებელ დარტყმას მტერს, გაანადგურებენ და მოსპობენ“, მაგრამ უეცრად „ გაანადგურებენ და მოსპობენ“ მოლოტოვმა წაშალა და ჩაუმატა: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურდება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“. ეს უსათუოდ გამოკვეთილი სტალინის სტილია.

მაშასადამე, თითქოსდა 1942 წლის 22 ივნისს სტალინის კაბინეტში მომხდარის მთელი სურათი ნათელია. თავდაპირველად კაბინეტში იყვნენ მოლოტოვი და ბერია და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა – ტიმოშენკო, ჟუკოვი და მეხლისი. სამხედროებმა მოახსენეს საზღვარზე თავდასხმისა და საბრძოლო მოქმედებების შესახებ, ბერიამ – ცნობების შესახებ სასაზღვრო ოლქებიდან და აგენტურისგან. განიხილეს სიტუაცია, მოლოტოვმა დაიწყო ბელადის გამოსვლის ტექსტის შედგენა. 7 საათზე მოვიდნენ ჟდანოვის ნაცვლად დატოვებული მალენკოვი, აგრეთვე ვიშინსკი. მათ მოჰყვნენ პოლიტბიუროს წევრები – ვოროშილოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი. განიხილეს მიმართვის ტექსტი, გადაწყვიტეს, რომ ის უნდა წაეკითხოს სტალინმა. 10.25 საათზე მოიტანეს გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა № 1, *დააზუსტეს მის შესაბამისად მიმართვის ტექსტიც. მოლოტოვმა წაუკითხა სტალინს მისი გამოსვლის ტექსტის პროექტი, სტალინმა რედაქტირება გაუკეთა სტილს, შეიტანა ფინალური სტრატეგიული ფრაზები და მოულოდნელად მიუთითა მთავარ ცვლილებაზე – მას გამოსვლა არ შეუძლია, ხალხის მიმართვით რადიოთი უნდა გამოვიდეს მოლოტოვი. ამ დროს კაბინეტში იმყოფებოდა ბელადის ყველაზე ახლობელი გარემოცვა. ყველა მათგანი, მიქოიანის გარდა, მალე შევა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც 1941 წლის 30 ივნისიდან მიეკუთვნება ხელისუფ*ლების მთელი ძალაუფლება ქვეყანაში. ისინი თითქოს ცდილობდნენ (მათი მოგონებების მიხედვით) დაერწმუნებინათ სტალინი – გამოსულიყო, მაგრამ ის შეუვალი იყო. 12.05 საათზე მოლოტოვი გამოდის ბელადის კაბინეტიდან. ჩადის სადარბაზოში, მიემგზავრება ცენტრალურ ტელეგრაფამდე, სადაც იმყოფებოდა რადიოკომიტეტის რადიოსტუდია, და 12.15 საათიდან კითხულობს ტექსტს, რომელიც... მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ცოტა ხნის წინათ ბელადთან შეთანხმებული და მის მიერ გასწორებული ტექსტისგან.

ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია – გზის 10 წუთის განმავლობაში და რადიოსტუდიაში ყოფნის პერიოდში მოლოტოვმა შეიტანა ტექსტში მეტად არსებითი ცვლილებები! პესკოვა მის მიერ მოლოტოვის ხელნაწერ ტექსტსა და რადიოთი წარმოთქმულ ტექსტს შორის შემჩნეული სხვაობის შესახებ ასე წერს: „... ტექსტი მიღებული იქნა საფუძვლად და არსებითად შევსებულად. მაგალითად, მიმართვის საბოლოო ვარიანტში გაჩნდა ფრაზა იმის შესახებ, რომ მოლოტოვი გამოდის საბჭოთა მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ სტალინის დავალებით. მეორე აბზაცში დაწვრილებით იყო საუბარი გერმანიის სსრ კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დარღვევის შესახებ გერმანიის მიერ. მიმართვის ტექსტი ასევე მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული. მასში დებულება ომის გაჩაღების შესახებ არა გერმანელი ხალხის მიერ შეიცვალა, როგორც გერმანიის მთავრობის მიერ, და გაჩნდა ფრაზა რუსეთში შემოჭრილი მტრის სრული დამარცხების შესახებ, როგორც ეს ხშირად იყო ხოლმე სამამულო ისტორიაში.

... მიმართვის უკანასკნელი სიტყვები: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, რომლებლიც ომის დროს მთავარი ლოზუნგები იყვნენ, ეკუთვნის მოლოტოვს“ (კატეგორიულად არ ვეთანხმები ამაში პატივცემულ გ.ნ.პესკოვას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის სტალინის სიტყვები, რომლებიც მან მოლოტოვს უკარნახა).

შევუდაროთ ერთმანეთს ტექსტი, რომელიც მოლოტოვმა საკუთარი ხელის დაწერა ფანქრით, იმ სიტყვის ტექსტს, რომელიც მოლოტოვმა წარმოთქვა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს. მე აღმოვაჩინე კიდევ მთელი რიგი სერიოზული სხვაობა მათ შორის, რომლებიც აღნიშნული არ არის პესკოვას ნაშრომში.

1941 წლის 22 ივნისს მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“ 1941 წლის 24 ივნისს:

1) დამატებულია, რომ, შულენბერგის ცნობით, გერმანიის მთავრობა ჩაება ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ, და დასახელებულია 22 ივნისს დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა – 200 კაცი;

2) დამატებულია ქვეყნებისა და ხალხების ჩამონათვალი, რომლებიც ადრე ფაშისტური აგრესიის მსხვერპლად იქცნენ;

3) დამატებულია ჰიტლერის შედარება ნაპოლეონთან, თანაც ორივე დასახელებულია „თავგასულად“;

4) პირველად არის გაკეთებული ანალოგი 1812 წლის ომსა და გერმანიასთან სსრ კავშირის ომს შორის, და დაწყებულ ომს პირველად ეწოდება სამამულო;

5) არის მოწოდება მთელი საბჭოთა ხალხისადმი, მიიღოს მონაწილეობა მტრის განადგურებაში, მაშინ, როდესაც სიტყვის პირველ მონახაზებში ეს ამოცანა ეკისრება მხოლოდ არმიას, ფლოტსა და ავიაციას;

6) არის მოწოდება ხალხისადმი – გაერთიანდეს ბოლშევიკური პარტიის გარშემო და „ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო“.

მაგრამ ეს ხომ არარეალურია – ვერ შეძლებდა მოლოტოვი ასეთ მოკლე პერიოდში შეეტანა ტექსტში ასეთი სერიოზული ცვლილებები, და რაც მთავარია – მას ხომ არ შეეძლო შეეცვალა თუნდაც ერთი სიტყვა სტალინის მიერ დამტკიცებულ ტექსტში! და, მიუხედავად ამისა, ეს გაკეთდა... პესკოვა მიიჩნევს, რომ ტექსტის კორექტირება მოხდა სტალინის კაბინეტში და მოლოტოვმა იგი რადიოში წაიკითხა იქ შეცვლილი ტექსტი. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, არქივში იქნეოდა სწორედ ის ტექსტი და არა მისი პირველი ვარიანტი. და შემდეგ, მოლოტოვის ხელნაწერ ვარიანტში სავსებით ცხადია სტალინის კორექტირება – უწინარეს ყოვლისა პირისა, ვისი სახელითაც იკითხება მიმართვა, და დასკვნაში შეტანილი ისტორიული სიტყვები „ჩვენი საქმე სამართლიანია...“ საიდანღა გაჩნდა ხელნაწერი დოკუმენტი ახალი ტექსტით, სად წავიდა დოკუმენტი ძველი ტექსტით? დროის მწვავე დეფიციტის პირობებში, მოლოტოვის გამოსვლის მომზადების მომენტში რატომ იქნა შეტანილი მის ტექსტში ცვლილებები, მოლოტოვის ტექსტის უდიდესი ნაწილი ხომ მასში შენარჩუნებულია – გაცილებით მარტივი იქნებოდა მოლოტოვის ვარიანტში შეეტანათ დამატებანი (თუმცა კვლავ და კვლავ გაურკვეველია, რისთვის, ყველაფერი ხომ, რაც სტალინმა უკარნახა, მოლოტოვმა თავისი ხელით ჩაწერა). განმარტება შეიძლება იყოს ასეთი. ეტყობა მიმართვის ტექსტის დაწერის დროს თავად სტალინი კაბინეტში არ იმყოფებოდა, ვინაიდან ის იყო სოჭში, სადაც, როგორც ჩანს, იგი ჟდანოვთან ერთად გაემგზავრა 19 ივნისს. მასთან ურთიერთობა ხდებოდა „ვჩ“ – კავშირგაბმულობის ტელეფონით, მოლოტოვმა წაუკითხა მას თავის მიერ მომზადებული ტექსტი და პოლიტბიუროს სახელით სთხოვა დაუყოვნებლივ გამოფრინდეს მოსკოვში, რათა ამ ტექსტით გამოვიდეს ცენტრალური რადიოთი. სტალინმა, დაწყებული ომის პირობებში ასეთი ფრენის ხიფათის მითითებით, უარი განაცხადა მასზე (მანამდე მას საერთოდ თავის ცხოვრებაში არასოდეს უფრენია თვითმფრინავით) და უბრძანა მოლოტოვს, როგორც თავის მოადგილეს, თავად წაეკითხა ამ მიმართვის ტექსტი. ამ დროს მან უკარნახა მოლოტოვს კიდევ რამდენიმე ცვლილება და დამატება ტექსტში. მოლოტოვმა შეიტანა ეს ცვლი-

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ლებები ტექსტში (მათ შორის ფრაზაც „ჩვენი საქმე სამართლიანია“ და ა.შ.ძ. მიუხედავად ამისა, იმის გათვითცნობიერებით, რომ კობა, როგორც ყოველთვის, შემდეგ დაიწყებს დამნაშავის ძებნას და იგი უსათუოდ მოლოტოვი აღმოჩნდება, რომელმაც თავისი სახელი მოაწერა გერმანიასთან დადებულ ფაქტს და იმოგზაურა ბერლინში, ის შეიძლება პირველად ცხოვრებაში, აბუნტდდა და განაცხადა, რომ ბელადის მიერ ხელმოწერილი ტექსტის გარეშე რადიოთი არ გამოვა.

სტალინს აღარაფერი რჩებოდა გარდა იმისა, რომ მიეღო ეს გაუგონარი პირობა. როგორ შეიძლებოდა მისი შესრულება? იყო ორი ვარიანტი:

პირველი – ტექსტი გაგზავნეს სოჭში სპეციალური ტელეგრამით, რომელზეც ბელადმა მოაწერა ხელი, ამავე დროს შეიტანა შესწორებები და გაუგზავნა უკან მოლოტოვს თვითმფრინავით. ეს ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ბელადის კაბინეტის მომსვლელთა ანალიზი ამ დღეს გვიჩვენებს, რომ მოლოტოვის საუბარი სტალინთან „ვჩ“ კავშირგაბმულობით არ შეიძლებოდა 9 საათზე ადრე შემდგარიყო. ნახევარი საათი დეპეშის მომზადებისა და გაგზავნისთვის, შემდეგ 4,5-5,5 ფრენისთვის, აეროდრომამდე ავტომან-

22 ივნისის თარიღით, თანაც დაბომბეს არა თავად კაუნასი, არამედ აეროდრომი. ჩემს მშობლებთან ერთად მაშინ კაუნასში ვცხოვრობდი, სამხედრო ქალაქში, ძალიან ახლოს ამ აეროდრომიდან. ორი სხვა ქალაქის დაბომბვა, რომლის შესახებაც ნახსენებია მოლოტოვის გამოსვლაში, გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობების თანახმად, პირველად მოხდა არა 22-ში, არამედ 24 ივნისს. სევასტოპოლი ნახსენებია გენერალური შტაბის 24 ივნისის დილის ოპერატიულ ცნობაში, კიევი კი – გენერალური შტაბის 25 ივნისის დილის ოპერატიულ ცნობაში. ჟიტომირის დაბომბვა გენერალური შტაბის ოპერატიულ ცნობებში ნახსენები არ არის, თუმცა, მისი მცხოვრებლების მტკიცებით, 22 ივნისის განთიადისას გაისმოდა ბომბების აფეთქებების ხმა ქალაქის ახლოს განთავსებულ აეროდრომებზე.

უ.ჩერჩილი თავის წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“ თავში „დაწყება“ აღნიშნავს, რომ იმ დღეს ლებულობდა შულენბურგის ელჩს, მოლოტოვმა მას უთხრა: „თქვენმა თვითმფრინავებმა მხოლოდ ახლახან დაახლოებით ათი დაუცველი სოფელი დაბომბეს“. მიმაჩნია, რომ ეს სიტყვები შეეხება გერმანიის ავი-

# გამოცანა

## არ წაუკითხავს ის სიტყვა, რომელიც დაწერა

ქანს მისვლის დროს გამორიცხვითაც კი. გამოდის, რომ მოლოტოვი თავის ტექსტს სტალინის ხელმოწერით მიიღებდა მხოლოდ 14.00-15.00 საათზე. მან კი თავისი გამოსვლა დაიწყო 12.15 საათზე და 12.25 საათზე უკვე დაბრუნდა სტალინის კაბინეტში.

მეორე – მიმართვის ტექსტი მოსკოვიდან სოჭში გადაიცა ტელეგრაფით, უკან კი – ფოტოტელეგრაფით (მოლოტოვს რადიოთი თავის გამოსვლამდე ხელში ხომ უნდა სჭეროდა ტექსტი, რომელიც დამოწმებული იყო სტალინის ხელმოწერით). აღმოჩნდა, რომ ფოტოტელეგრაფი სსრ კავშირში მოქმედებდა 30-იანი წლებიდან, „1940 წლის ბოლოდან კი მოსკოვის ცენტრალურ ტელეგრაფს უკვე ჰქონდა 22 ფოტოტელეგრაფის ხაზი, რომლებიც აკავშირებდა მას ქვეყნის უდიდეს ქალაქებთან. ეჭვი შეიძლება არ ვიქონიოთ, რომ მეორე ასეთი ქალაქი იყო სოჭი, პრაქტიკულად ერთადერთი ადგილი, სადაც სტალინი შვებულებაში რეგულარულად მიდიოდა. მაშინ განსაკუთრებულ აზრს იძენს ის, რომ 1941 წლის 22 ივნისს მოლოტოვი გამოდიოდა სწორედ ცენტრალური ტელეგრაფის რადიოსტუდიიდან. მაშასადამე, სტალინის მიერ ხელმოწერილი ტექსტი გადაიცა მოსკოვში ფოტოტელეგრაფით და მასზე ხელმოწერის დროს ბელადმა შეიტანა ხელნაწერი ზოგიერთი ცვლილება, რომლებიც მოლოტოვმა წაიკითხა კიდეც პირდაპირ ფოტოტელეგრამიდან. მან კი იგი მიიღო სწორედ ცენტრალურ ტელეგრაფში.

გაზეთ „პრავდის“ სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილის ლ.ბროტმანის მოგონებებში მოყვანილია ჩემი მიერ წამოყენებული ვერსიის დამადასტურებელი ფრაზა: „... მოვიდნენ ჩეკისტები და დაიკავეს ყველა გასასვლელი და დერეფანი. დანიშნულ ვადამდე ათი წუთით ადრე მოვიდა მოლოტოვი. ის მიუჯდა მაგიდას, გახსნა საქაღალდე და დაიწყო მომზადებული ტექსტის კითხვა (ესე იგი, დაიწყო ტექსტის გაცნობა, ვინაიდან ამ ვარიანტს ხედავდა პირველად, – ა.ო.ძ. ვადამდე ნახევარი წუთით ადრე ის ადგა და შევიდა სტუდიაში მიკროფონთან. ლევიტანმა გამოაცხადა მისი გამოსვლა, მოლოტოვი საუბრობდა აღელვებით, ნერვიულად. მაგრამ ჩაწერეს ყველაფერი კარგად“. ამჟამად ამ ტექსტის ყველა ხსენების დროს მიუთითებენ გაზეთ „პრავდაში“ 1941 წლის 24 ივნისს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე. მოდით, ბოლოს და ბოლოს, მოვნახოთ ნამდვილი საარქივო დოკუმენტი – პირველი წყარო. ეს საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ ვუპასუხოთ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ისტორიის ამ შავ დღესთან, მათ შორის იმასაც – იყო თუ არა იმ დღეს სტალინი მოსკოვში.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არის სხვა ვარიანტიც, რომელიც ხსნის მოლოტოვის გამოსვლის ახალი ტექსტის გამოჩენას. მის შემოთავაზებას გვკარნახობს ასეთი გამოსაცნობი ფაქტი: მოლოტოვის გამოსვლა იწერებოდა მაგნიტურ ფირზე, მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს იგი რადიოთი არასოდეს გაუმეორებიათ, სამაგიეროდ იმ დღეს იგი ცხრაჯერ წაიკითხა დიქტორმა ლევიტანმა. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ რადიოთი მოლოტოვის გამოსვლის მოსმენის შემდეგ სტალინმა ტელეფონით ან სპეცტელეგრაფით არ შეიტანა ამ ტექსტში ახალი ცვლილებები და დამატებები, რომელთა გათვალისწინებითაც ლევიტანმა წაიკითხა იგი. სწორედ გამოსვლის ტექსტი გამოქვეყნდა კიდეც გაზეთ „პრავდაში“. შეიძლება, სწორედ ამის გამო არ გამოქვეყნდა ეს ტექსტი გაზეთ „პრავდაში“ მოლოტოვის გამოსვლის მეორე დღეს, ესე იგი, 23 ივნისს.

ახლა მოლოტოვის სიტყვაში მითითებული იმ პირველი ქალაქების შესახებ, რომლებიც დაიბომბნენ 1941 წლის 22 ივნისს. კაუნასი – ერთადერთი მათ შორის, რომლის დაბომბვასაც ადასტურებს წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა 1941 წლის

აციის 1941 წლის პირველ შემოფრენას – აი, საიდან გაჩნდა „ათი დაუცველი სოფელი“! გაურკვეველია, რა აეროდრომები იყო ეს?

ცნობილია, რომ 22 ივნისს საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 1300-დან 2 ათასამდე (სხვადასხვა შეფასებით), ახალი ტიპის თვითმფრინავი იყო, რომელთა უმეტესობაც თავმოყრილი იყო დასავლეთის საზღვრის მახლობლად. ცნობილია აგრეთვე, რომ ომის პირველ დღეს დარტყმები მიაყენეს 66 სასაზღვრო აეროდრომს, ამ დროს განადგურდა 1200 (სხვა მონაცემებით კი 1800) საბჭოთა თვითმფრინავი, უმეტესწილად ხმელეთზე. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ გერმანიის ავიაცია დარტყმას აყენებდა აეროდრომებს, რომლებზეც განთავსებული იყო ახალი ტიპის საბჭოთა გამანადგურებლები და ანადგურებდა სწორედ მათ. სხვათა შორის, იქ განლაგებულ და განადგურებულ საბჭოთა თვითმფრინავთა ოდენობა თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. ამის შემდეგ გერმანიის ბომბდამშენებს უკვე აღარაფრისა ეშინოდათ, დაიწყეს დიდ ჯგუფებად ფრენა თანმხლები გამანადგურებლების გარეშე საბჭოთა სარკინიგზო კვანძების, შტაბების, საბრძოლო ტექნიკის განთავსების ადგილებში და ა.შ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაურკვეველი მიზეზის გამო გენერალური შტაბის ოპერატიულ ცნობაში არ არის ნახსენები მოწინააღმდეგის თვითმფრინავების პირველი შემოფრენა 22 ივნისს ქალაქ სევასტოპოლში, სადაც ეს მოხდა ყველა დანარჩენებზე ერთი საათით ადრე – სამ საათზე და რომელიც აღწერილია მარშალ ჟუკოვის და ფლოტის ადმირალ კუზნეცოვის მემუარებში. „გასაღებში საიდუმლოს ამოხსნისთვის“ მე გამოვთქვი და დავასაბუთე ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ესენი იყვნენ ინგლისის თვითმფრინავები, ამიტომ ისინი არ ბომბავდნენ შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო გემებს, და მხოლოდ ყრიდნენ მაგნიტურ ფსკერის ნაღმებს. შეიძლება ამ პროვოკაციის დახმარებით ის აპირებდა ჰიტლერისთვის მიცემული დანაპირების იმიტაციას საბჭოთა კავშირზე ერთობლივი თავდასხმის შესახებ, რითაც მან შეძლო ამისკენ ებიძგებინა ჰიტლერისთვის, რომ თავს დასხმოდა სსრ კავშირს.

მაგრამ სევასტოპოლში ამ თვითმფრინავების მოახლოება ღამით დააფიქსირა პირველმა საბჭოთა სახომალდო რადიოლოკაციურმა სადგურმა „რედუტ-კ“-მ, რომელიც 1941 წლის 15 ივნისიდან იყო შეიარაღებაში კრეისერ „მოლოტოვზე“. თანაც დაფიქსირებულ ტრასაზე ცხადი გახდა, რომ ეს თვითმფრინავები მოფრინავდნენ არა რუმინეთიდან, არამედ თურქეთის მხრიდან, სადაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანელების თვითმფრინავები, მაგრამ სამაგიეროდ იქ იყვნენ ინგლისის თვითმფრინავები მოსუპის, ხაბანიისა და კვიპროსის ავიაბაზებში.

ამიტომ გენერალურმა შტაბმა არც ჩართო ცნობები ამის შესახებ სევასტოპოლზე თავდასხმაში თავის პირველ ცნობაში – ინგლისიდა აკლდა ამ დღეს საბრძოლო მოქმედებების დაწყებას! ამიტომ დილით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის მოადგილესთან ვიშინსკისთან მოიწვიეს სსრ კავშირში ინგლისის დროებით საქმეთა რწმუნებული, რომელმაც დაარწმუნა ჩვენი მხარე, რომ ინგლისი იბრძოლებს სსრ კავშირთან ერთად გერმანიის წინააღმდეგ. მოასწრეს ამის დროული შეტყობინება მოლოტოვისთვის, მან კი „ვჩ“ ტელეფონით აცნობა სტალინს, რის შემდეგაც სევასტოპოლზე თავდასხმა გადაწყვიტეს მიეკუთვნებინათ გერმანელებისთვის, რაც გააკეთა კიდეც მოლოტოვმა, როდესაც 12.15 საათზე გამოდიოდა რადიოთი.

**ალექსანდრ ოსოკინი**

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

# ჰიტლერს სსრ კავშირზე თავდასხმა... 1945 წელს უნდოდა?..

## ექს-იუგოსლავიის ისტორიკოსები დარწმუნებული არიან: ომი სპონტანურად დაიწყო

**გერმანია თავდაპირველად აპირებდა ბრიტანეთის დაპყრობას, ინდოეთის თავის მოკავშირედ გადაქცევას და კანადაში ჯარის შეყვანას. რამ შეუშალა ხელი მას ამის გაკეთებაში?**

...ამ კონფლიქტისთვის მართლაც შეიძლებოდა გეწოდებინა ბლიცკრიგი – ელვისებური ომი. სწრაფი – სულ 11 დღისა. 1941 წლის 6 აპრილის დილით ლიუფტვაფე ბომბავდა ბელგრადს, 17 აპრილს კი იუგოსლავიის არმიამ იარაღი დაყარა. საქმე ტრაგიკომედიამდე მივიდა: მაგალითად, იუგოსლავიის დედაქალაქი აიღო შვიდი ესესელისგან შემდგარმა რაზმმა ჰაუპტშტურმფიურერის კლინგენბერგის მეთაურობით – მას დანებდა 1300 სამხედრო ბელგრადის გარნიზონიდან. ბრძოლებში დაიღუპა 150 გერმანელი ჯარისკაცი – იმ დროისთვის ეს უბრალოდ სასაცილო დანაკარგია. მაგრამ სწორედ ამ კამპანიამ, როგორც ადგილობრივი ისტორიკოსები ვარაუდობენ, შეასრულა ჰიტლერთან ერთობ ბოროტი ხუმრობა...

### „ჩვენ მივიღებთ ინდოელ ჯარისკაცებს“

**– საყოველთაოდ** **არის ცნობილი: 1940 წლის 22 ივლისს დაიწყო გეგმა „ბარბაროსას“ დამუშავება, გერმანიის სსრ კავშირთან ომის გეგმის „შავი ვარიანტი“ გახმაურდა 10 დღის შემდეგ, – გვიამბობს მკვლევარი ისტორიკოსი ზაგრებიდან მირან მარკოვიჩი.** – მაგრამ თავდასხმის ზუსტი თარიღი მაშინ არ განუსაზღვრავთ: „ბარბაროსას“ ტექსტში ბუნდოვნად იყო ნათქვამი: ეს უნდა ყოფილიყო გაზაფხული ან ზაფხული, კამპანია აუცილებლად უნდა დასრულებულიყო შემოდგომამდე, რათა ტექნიკა არ გაჩხერილიყო შემოდგომის ტალახში. მოგვიანებით, 1944 წელს, ფელდმარშალმა ფონ ბოკმა თავის დღიურში ჩაწერა: **„ის და გენერალური შტაბის გენერლების მთელი ჯგუფი ურჩევდნენ ჰიტლერს თავს დასხმოდა სსრ კავშირს არაუადრეს... 1946 წლის აპრილისა, მანამდე გასწორებოდა ინგლისსა და ამერიკას. გერმანია არ არის მზად ომისთვის, ის აღმოჩნდება მოსკოვსა და ლონდონს შორის, როგორც კაკალი სამტვრევში. მაგრამ ბელგრადის დაცემამ და თითქმის უსისხლო ომმა ბალკანეთში საპირისპირო რამეში დაარწმუნეს ჰიტლერი. მან გადაწყვიტა, რომ სლავებმა ომი არ იციან: საბჭოთა კავშირი დაიშლება ერთ კვირაში, როგორც იუგოსლავია, მაშასადამე, რაღა საჭიროა ლოდინი და მზადება?! მე პირადად მთლიანად ვარ დარწმუნებული: ჰიტლერის ბრძანება – თავს დასხმოდნენ სსრ კავშირს 1941 წლის 22 ივნისს – იყო სპონტანური...“**



... წარმოუდგენელია? ვინ იცის. ათი წლის წინათ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აწ გარდაცვლილმა ვოლფ-რიუდიგერ ჰესმა, ჰიტლერის ექსმოადგილის რუდოლფ ჰესის ვაჟიშვილმა, განაცხადა: **„მიუხედავად გეგმა „ბარბაროსასი“, ფიურერი თავდაპირველად მერყეობდა აღმოსავლეთში ომთან დაკავშირებით. უბრალოდ იცოდა: რუსეთზე თავდასხმით ის გახსნიდა კარს, რომლის უკანაც უფსკრულია“.** ვოლფ-რიუდიგერის აზრით, ბლიცკრიგი სსრ კავშირის წინააღმდეგ ლოგიკური იქნებოდა არაუადრეს 1943 წლის აგვისტოს, და ძნელად რომ ვინმემ განმარტოს, თუ რატომ დაიწყო ომი ასე მოულოდნელად. ამ დროისთვის გერმანიას უნდა მოესწრო ბრიტანეთის დაპყრობა, ინდოეთის დამორჩილება და მისი გახდომა თავის მოკავშირედ (და მილიონობით ინდოელი ჯარისკაცის მიღება), აეღო ინგლისის კოლონიები აფრიკაში და შეეყვანა ჯარები კანადაში. როდესაც შენს ხელთ იქნებოდა ნახევარი მსოფლიოს ხალხისა და ენერგეტიკული რესურსები, როგორც ჰესის შვილს მიაჩნდა, სსრ კავშირთან ანგარიშის გასწორება „უკვე პრობლემა აღარ იქნებოდა“. იუგოსლავიის ელვისებურ კაპიტულაციას შეეძლო, აეძულებინა ჰიტლერი საჩქაროდ შეეცვალა თავისი გეგმები. ბელგრადის დაცემიდან მალე საბჭოთა მზვერავმა რიხარდ ზორგემ იაპონიიდან გადმოსცა შიფრი: „ომი სსრ კავშირთან განზრახულია 15 მაისისთვის“. ოდნავ მოგვიანებით გერმანიის გენერალურმა შტაბმა იქს-საათი 14 ივნისისთვის გადაიტანა და მხოლოდ 17-ში ბერლინში საბოლოოდ დაადგინეს: არმია „ცენტრის“ ჯგუფი გადალახავს საზღვარს სსრ კავშირთან 1941 წლის 22 ივნისს.

### „სსრ კავშირის საელჩოში „თხუნელა“ იყო

**– გაოცებს ჰიტლერის განწყობილების მკვეთრი ცვლილება, – ამტკიცებს ჩერნოგორიელი ისტორიკოსი სვეტოზარ კოშიჩი, – მას აწამებდა სურვილი დაეთრგუნა ლონდონი, და მხოლოდ ამის შემდეგ დასხმოდა თავს მოსკოვს. და უეცრად ერთ-ორ თვეში ყველაფერი 180 გრადუსით შეიცვალა. რატომ?** აი ერთ-ერთი ვერსია. ფრიც კლინბერგერის რეისის დროს ხელში ჩაიგდეს იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო არქივები. იქ ინახებოდა სპეცსამსახურების იმ აგენტების პატაკები, რომლებიც მუშაობდნენ უცხოეთის საელჩოებში მცველებად და მზარეულებად. 40-იანი წლების ბოლოს იუგოსლავიის პრესამ გამოაქვეყნა ბელგრადში საკდესის კორესპონდენტის გორბოვსკის მოსკოვში 1941 წლის 25 მარტს გაგზავნილი წერილის ასლი: **„გერმანელები იბევებენ ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცრებს. მათ ეუბნებიან, რომ სსრ კავშირზე თავდასხმა უკვე გადაწყვეტილი საკითხია. გერმანია აპირებს ომის დაწყებას შემდეგი წლის ზაფხულში“.** არ არის გამორიცხული, რომ გორბოვსკის წერილი მოხვედრილიყო გერმანელების ხელში, ვინაიდან მისი ასლი აღმოჩნდა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამრიგად, ბერლინში გაიგეს: მათი გეგმები ცნობილია მოსკოვში, და თუ შეტევას ადრე არ დაიწყებდნენ, რუსები უკეთ მოემზადებიან ომისთვის...

... იუგოსლავიის პარლამენტის ექსთავმჯდომარე 1953-1963 წლებში და კომუნისტების კავშირის პოლიტბიუროს წევრი პეტარ სტამბოლიჩი პენსიაზე გასვლის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: **„არავის ეპარება ეჭვი, რომ ჰიტლერი და სტალინი შუბლებით დაეჯახებოდნენ ერთმანეთს. ბრიტანეთი ბედნიერი იქნებოდა, ვინაიდან ეს მას ჩამოაშორებდა ყურადღებას, მაგრამ არ გვჯეროდა, რომ ომი 1942 წელზე ადრე დაიწყებოდა. ბრძოლა ორ ფრონტზე გერმანიისთვის ცხადი სისულელე იქნებოდა“.** ვოლფ-რიუდიგერ ჰესი დაჟინებით უჭერდა მხარს მეორე ვერსიას: ის დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის დაზვერვამ განზრახ ჩაუგდო გერმანელებს ხელში ცრუ ინფორმაცია: აიო, ტაუერში უფროსმა ჰესმა დაკითხვაზე გახსნა გეგმა „ბარბაროსას“ დეტალები. ჰიტლერს კი, თითქოს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შეეცვალა გეგმები და ემოქმედა დასწრებაზე. სწორია ეს? უცნობია. რუდოლფ ჰესის დაკითხვის ოქმებს კი ჯერ არ მოხსნიათ საიდუმლოების გრიფი...

... მაგრამ ერთი რამ უცვლელად რჩება: ჰიტლერს სულ თავიდანვე განზრახული ჰქონდა საბჭოთა კავშირის განადგურება. 1942, 1943 ან 1945 წელს, მაგრამ დიდი სამამულო ომი აუცილებლად გაიმართებოდა. ამიტომ არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ კერძოდ როდის დაიწყო ომი. მთავარი ისაა, რომ ამ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ.

**გეორგი ზოტოვი,**
**ზაგრები-ბელგრადი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ფეხბურთი

# ფორტუნას ვერ დავემდურებით



**უარესიც შეიძლებოდა – მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გამართული პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირების სასტარტო რაუნდების კენჭისყრის შედეგები ქართული გუნდებისთვის.**

თავად განსაჯეთ – „ზესტაფონი“ ჩემპიონთა ლიგას მოლდოვურ „დაჩიასთან“ შეხვედრებით „დააჭაშნიკებს“, თბილისის „დინამო“, რუსთავის „ოლიმპი“ და „გაგრა“ კი ევროპის ლიგაში გამოსვლას, შესაბამისად, მოლდოვას „მილსამთან“, სომხეთის „ბანანცთან“ და კვიპროსის „ანორთოსისთან“ მატჩებით დაიწყებენ. აღსანიშნავია, რომ მოლდოველებთან სადებიუტო თამაშებს მასპინძლის რანგში გავმართავთ, ხოლო დანარჩენებთან – სტუმრად.

შეგახსენებთ, რომ აქამდე „ბანანცს“ ევროტურნირებზე მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივი“ შეებრძოლა და დამარცხდა, ხოლო ქალაქ ფამაგუსტას „ანორთოსისი“ ფეხზე თემურ ქეცბაიას მწვრთნელობისას დადგა და სწორედ ჩვენმა თანამემამულემ გაიყვანა კუნძულელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

**გიორგი შოთაძე**

## ფარიკაობა

# ოთხი ქვეყნის მუშკეტერთა მონაწილეობით

**ქუთაისში ფარიკაობას საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გალაქტიონ ჩიქოვანმა ჩაუყარა საფუძველი. მადლიერი რიონისპირელები მის სახელს არ ივიწყებენ – წლეულს მეექვსედ უმასპინძლეს ჩიქოვანის სახელობის საერთაშორისო ტურნირს.** მემორიალის საპრიზო ადგილებისთვის ქართველებთან ერთად სომხები, აზერბაიჯანელები და ქუვეითელებიც იბრძოდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: **ხმალში** – თეოდორა კახიანი (თბილისი) და სანდრო ბაზაძე (ქუთაისი), **რაპირაში** – ალბინა ატოიანი (სომხეთი) და არჩილ უგულავა (თბილისი), **დაშნაში** – მარი ლომიძე (თბილისი) და გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი).



**ლაშა დიდია**

## ჭიდაობა

# შვიდეული გამოირჩა

**ათი ქვეყნის ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკები მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც თურქულ კუშადასში გაიმართა.** ჩვენმა ბიჭებმა ორივე სახეობაში შვიდი მედალი დაიმსახურეს, აქედან 4 ჯილდო „კლასიკოსებს“ ეკუთვნით. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა შმაგი ბოლქვაძე (58კ). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ ლეონ ხოზრევანიძე (46კ), ლაშა გობაძე (76კ) და ირაკლი კოვზირიძე (85კ). „თავისუფალთაგან“ ვერცხლის მედლები გიორგი ჩხარტიშვილმა (76კ) და ბექა როჭიკაშვილმა (85კ) მოიპოვეს, ტაიფუნ აბდულაევს (42კ) კი ბრინჯაო ერგო.



**ლექსო ცინცაძე**

## ჭადრაკი

# ლიდერი კარლსენია

**რუმინულ ბაზნაში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე Kings Toumamont მეექვსე ტურში კარიაკინი კინაღამ წამოეწია ტურნირის ლიდერ კარლსენს, დაამარცხა რა მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი ნისიპიანუ.** მაგრამ მომდევნო ტურში ნორვეგიელი კარლსენი, წინა ტურში ნაკამურას რომ დაუზავდა, ისევ წინ გაიჭრა ივანჩუკის დამარცხებით, ყაიმზე კი შეთანხმდნენ რაჯაბოვ-კარიაკინი და ნისიპიანუ-ნაკამურა.

7 ტურის შემდეგ კარლსენს 5 ქულა აქვს, კარიაკინს – 4,5, ნაკამურას – 3,5, რაჯაბოვს – 3, ივანჩუკსა და ნისიპიანუს – 2,5.




## კალათბურთი

# ლიტვა: ახლობელი შორეთი




**31 აგვისტოდან საკალათბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში ლიტვა მოექცევა, სადაც კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.**

მოგეხსენებათ, კონტინენტური ფორუმის დებიუტანტი საქართველოს ეროვნული ნაკრები ბანაკს ბალტიის ზღვის სანაპიროს მთავარ საკურორტო ქალაქ კლაიპედაში დასცემს და **„დ“ ჯგუფის** სხვა გუნდების (რუსეთი, სლოვენია, ბულგარეთი, უკრაინა, ბელგია) მსგავსად, სასტუმრო „ამბერტონში“ დაბინავდება, ბრძოლებს კი წელს აგებულ „კლაიპედა არენაზე“ (5486 ადგილი) მოაწყობს.




ლიტველთა შრომისმოყვარეობაზე, პატრიოტიზმსა და კანონისადმი მორჩილებაზე, რამაც ქვეყანა წალკოტად აქცია, ლეგენდები დადის და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება კლაიპედას, მისი საფირმო ნიშნებია მაღალ დონეზე განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროებით დაწყებული, სანახაობებით დამთავრებული, აგრეთვე უამრავი მუზეუმი, პარკი და დასასვენებელი ადგილი.

ამ ქალაქის სასახელო შვილები არიან საკალათბურთო ავტორიტეტები ჭუკაუსკასი, მაციაუსკასი, შტრომბერგასი და კარნიშოვასი. ქართველთაგან იქაურ „ნეპტუნასში“ სერგო ათუაშვილმა ითამაშა და 2008 წელს ლიტვის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რადგან ქართველი ვახსენეთ, დავძენთ, რომ მართალია „ევრობასკეტის“ ფინალური ეტაპი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ერთი რეკორდი უკვე დავამყარეთ: როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი დოვილე ლუკავიჩიუტე აცხადებს, „დ“ ჯგუფის ყველა მატჩის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია, მათი 40 პროცენტი კი „ჯვაროსანთა“ ქომაგებმა შეიძინეს.

დასასრულს, მოდით, მომავალი ბატალიების დანარჩენ სარბიელებსაც გავეცნოთ ჯგუფების მიხედვით.

**„ა“ ჯგუფი.**

**ესპანეთი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, საკვალიფიკაციოს ერთ-ერთი გამარჯვებული.**




**პანევეჟისის „პანევეჟის არენა“. 5684 ადგილი. აშენდა 2008 წელს.**

**„ბ“ ჯგუფი.**

**სერბეთი, იტალია, საფრანგეთი, ლატვია, გერმანია, ისრაელი.**




**შიაულიაის „შიაულიაი არენა“. 5500 ადგილი. აშენდა 2007 წელს.**

**„გ“ ჯგუფი.**

**ჩერნოგორია, მაკედონია, ბოსნია, ხორვატეთი, საბერძნეთი, საკვალიფიკაციოს მეორე გამარჯვებული.**




**ალიტუსის „ალიტუს არენა“. 5500 ადგილი. აშენდა წლეულს.**

**მეორე ჯგუფური რაუნდი**




**ვილნიუსის „ვილნიუს არენა“. 11 000 ადგილი. აშენდა 2004 წელს.**

**პლეი-ოფები და ფინალი**




**კაუნასის „კაუნას არენა“. 14 400 ადგილი. აშენდა წლეულს.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ინტერნეტიდან

# მისი მთავარი გამარჯვება

**ამერიკელი ჩოგბურთელის ენდი როდიკის კორტებზე გამარჯვებებს დაემატა სპორტულ სარბიელზე კი არა, პირად ცხოვრებაში მოპოვებული დიდი გამარჯვება – ჩოგნის დიდოსტატმა ორი წლის წინათ მთელი პლანეტის მამაკაცთა გამოსაჯავრებლად ერთ-ერთი ულამაზესი ქალიშვილი შეირთო – სუპერმოდელი ბრუკლინ დეკერი.** გადასარევი გარეგნობის სექსუალური ლამაზმანი ამჯობინებს ძვირფას კაბებსა და ბრილიანტებს გაცილებით უბრალო ჩაცმულობას, თანაც თავის სტილს „ბიჭუნას“ ეძახის. მაგრამ როდესაც რაიმე წვეულებაზე მიდის, დიდებულ ქალბატონად იქცევა ხოლმე, რაშიც სტილისტებიც ეხმარებიან. თუმცა ბრუკლინს უბრალო, არცთუ მიმზიდველი ტანსაცმელი უყვარს, მის სტილისტს ენნი ლადინოს – სექსუალური.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტარიფები

## დასუფთავების მოსაკრებელი იცვლება

**თბილისის მერია დასუფთავების ფიქსირებულ მოსაკრებელს ცვლის. ცვლილების შემდეგ, ფიქსირებული გადასახადი, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 2,5 ლარს, გაუქმდება. მის ნაცვლად კი თითოეულ ოჯახს მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით მოუწევს დასუფთავების გადასახადის გადახდა. კანონპროექტის მიხედვით, დახარჯულ ყოველ კილოვატზე დასუფთავების გადასახადზე დაირიცხება 0,05 ლარი. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალების" თავმჯდომარემ ნიკოლოზ ხაჩირიშვილმა განმარტა, აღნიშნული ცვლილებით თბილისის მოსახლეობას შეუმცირდება გადასახადი.**

— ეს კეთდება თბილისის დასუფთავებისთვის. ამასთანავე, მოსახლეობას გადასახადი შეუმცირდება. სოციალურად დაუცველთათვის შეღავათები იგივე რჩება. ეს ყველაფერი თბილისის კეთილდღეობისთვის ხდება და ოპოზიციონერ დეპუტატებს მოვუწოდებ, რომ თუ არ მოსწონთ აღნიშნული კანონპროექტი, მათ მოიფიქრონ ალტერნატიული, რომელიც უკეთესი იქნება.



მოსაკრებლის შეცვლის კანონპროექტი თბილისის მერიიდან საკრებულოში შესულია და ის პირველივე საკრებულოს სხდომაზე განიხილება.

საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატ" დეპუტატ ჯაბა სამუშიას მტკიცებით, ახალი კანონპროექტებით, დასუფთავების გადასახადი რეალურად 50 %-ით იზრდება. როგორც სამუშიამ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, დასუფთავების მოსაკრებლის ახალი მოდელი ძალიან ბევრ ადამიანს შეუქმნის პრობლემას.

— 2010 წლის აგვისტოდან მოყოლებული უმრავლესობა თბილისელებს ახალ-ახალ სიურპრიზებს სთავაზობს. მორიგი სიურპრიზია თბილისის მერიიდან შემოსული კანონპროექტი, რომლის თანახმადაც დასუფთავების მოსაკრებელი იცვლება, გადასახადს 50%-ით ზრდის. იმ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ გაზი და უწევთ მხოლოდ ელექტროენერგიის გამოყენება, მათთვის გადასახადი საგრძნობლად გაიზრდება, განსაკუთრებით ზამთარში, — განაცხადა სამუშიამ.

მისივე თქმით, „ქრისტიან-დემოკრატები" თბილისის მერიას მოუწოდებენ, რომ უკან გაიწვიოს აღნიშნული კანონპროექტი. სამუშიას თქმით, სრულიად გაუგებარია, როცა თბილისის ბიუჯეტიდან დასუფთავებაზე 40 მილიონი ლარი გამოიყოფა და მოსაკრებლის გადასახადი ძვირდება.

— ახალი მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის და მისი გადახდის ახალი წესის შემოღება, რომელიც საკრებულოს უახლოეს სხდომაზეა დაგეგმილი, არასამართლიანია და თბილისის მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, — განაცხადა „ახალი მემარჯვენეების" გენერალურმა მდივანმა, ქალაქ თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ჩვენი თბილისის" თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ახალი კანონპროექტი რეალურად ნიშნავს, რომ მომხმარებელს, რომელიც 100 ლარის ელექტროენერგიას მოიხმარს მოუწევს 6 ლარის გადახდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისთვის. დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისთვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის, ასევე, დგინდება დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ტარიფის გაანგარიშების წესი დაგროვებული ნარჩენების სახეობის, აგრეთვე, ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურებისძ მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბანკო-კომუნალური მომსახურების მოცულობის და ა.შ. მიხედვით. ტარიფების დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ სიდიდეების კომბინაციებიც. ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას ქალაქის მერია ასაბუთებს იმით, რომ დედაქალაქში მიგრაციის მაღალი მაჩვენებელია, მოსახლეობის რეგისტრაციის ოფიციალური მაჩვენებელი არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას, რაც იწვევს ქალაქში არსებული რეალური სურათის დამახინჯებას, — განაცხადა საგანელიძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

ხსოვნა

## მოგონებებშიც არის სიცოცხლე



ორი წელი შესრულდა, რაც მეუღლე დავკარგე. არადა, თითქოს ყველაფერი რამდენიმე დღის წინათ მოხდა. ომარი ჩემთვის მარტო მეუღლე კი არა, ყველაფერი იყო...

ომარს, ალბათ, საკმაოზე მეტი მეგობარი ჰყავდა. იყო ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგი. ამდენად, ყველა ჩაგრულის შემწე (ქომაგიძ და მიმტევებელი. მის პიროვნებაში ადამიანობის განმსაზღვრელი ყველა საუკეთესო თვისება იყრიდა თავს. არცთუ იშვიათად მომისმენია სუფრაზე მისი მეგობრებისგანაც: „ის იყო კაცი, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!"

სამი ათეული წლის წინათ ომარმა სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად ქაშვეთის ტაძარს მიაშურა... მისი მოძღვარი გახლდათ მამა ვახტანგი, რომლის ამაგი მის სულიერ განწმენდაში, ალბათ, საკმაოზე მეტიცაა. ჩემი მეუღლის ღვთისნიერებაზე მეტყველებს ისიც, რომ თავისი ერთადერთი ვაჟი — დათო ზემოხსენებულ ტაძარში ჯერ კიდევ პირველი კლასის მოსწავლე მიიყვანა. ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ იგი 12 წლის ასაკში უკვე სტიქაროსანი იყო.

გრძნობდა კი არა, ომარმა იცოდა, რომ საყვარელ ცოლ-შვილს რამდენიმე დღესა თუ თვეში სამუდამოდ გამოეთხოვებოდა, მაგრამ გასაოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. და ეს, ალბათ, მხოლოდ ნამდვილ რაინდებს თუ შეუძლიათ. მიწის ფასის მცოდნე ოჯახში აღზრდილს განუზომლად უყვარდა მშობლიური საწირე. ამიტომ არა მარტო თბილისში დაბადებულ და მუდმივად მაცხოვრებელ შვილს, მეც შემაყვარა თავისი ბავშვობის შემომნახველი სოფელი და ერთხელ იქ ყოფნისას (სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრეძ გამიმხილა: ჩემო მანანა, ჩვენი სამუდამო განსასვენებელი ადგილიც აქ იქნება, სადაც ჩემი მშობლების, ჩემი წინაპრების საძვალე-საგვარეულო ადგილიაო. მისი უკანასკნელი სურვილი უყოყმანოდ იქნა აღსრულებული. მე მჯერა, მისი სული აქ, თბილისში თავს დაგვტრიალებს და უფალ-ღმერთს ავედრებს ჩვენს სიცოცხლეს.

და, ბოლოს: ჩემს პატარა და სევდიან ფრაგმენტს პოეტის სტრიქონებით ვამთავრებ:

„შენ დაასრულე ზეცთან ჭიდილი,
— მიწას მოწყდი და ზეცას გაენთე...
მე უნდა მოვკლა შენი სიკვდილი,
ხსოვნაში რომ არ გადასხვაფერდე!"

მანანა.

## ძალიან მენატრები

მამა, შევძლებ კი, რისი თქმაც მინდა, მის ქაღალდზე გადატანას? და მაინც ვეცდები, შენზე უზომოდ შეყვარებულმა და ცოტას მთქმელმა შვილმა, ჩემი ცრემლიანი ხმა მოგაწვდინო.

მამა, 18 ივნისი შენი დაბადების დღე იყო. უკვე მეორე წელია, ამ თარიღს უშენოდ ვხვდებით. დედა, როგორც ყოველთვის, რამდენიმე შენთვის უახლოეს ადამიანთან ერთად პატარა ხსოვნის სუფრას გაგიშლის. მერე უფალს შენი ხსოვნის სანთელს ავუნთებთ და შევავედრებთ შენს თავს...

უკვე მეთორმეტე კლასში გადავედი. ახლა სახლში მარტო მე და დედა ვართ. თითქოსდა მშვიდად ვგრძნობთ თავს, მაგრამ, ჩვენდა უნებურად, ზოგჯერ ტკივილიანი ფიქრები გაგვიტაცებენ და მაშინ კი ერთმანეთს ველარ ვამჩნევთ. დედა ცდილობს ყოველთვის ღიმილმფენი სახით მეჩვენოს, მაგრამ თურმე თვალმა როგორადაც არ უნდა ითვალთმაქცოს, გულს ვერაფერს მოუხერხებ. და მაინც, რამდენადაც შევძლია, ვცდილობთ, ერთმანეთს ისედაც ნაკტენი გული კიდევ უფრო მეტად არ დავუმძიმოთ.

მამა, ვიხსენებ, ჯერ კიდევ პატარას როგორ დამატარებდი ქაშვეთის ეკლესიაში. ალბათ, გეამაყებოდა, თორმეტი წლის ასაკში სტიქაროსანი შვილი რომ გყავდა. ახლა მამა ვახტანგის მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფები.

შენი რომელი ერთი შეგონება უნდა გავიხსენო. უშენობა ძალიან მიჭირს, მამა. მაპატიოს უფალმა და... მიწისთვის შენი მიბარება ცოტა ნაადრევიც იმიტომ მეჩვენება, რომ ქვეყანაში სოციალური პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია, როცა სწავლა მაღალფასიანი გახდა, მისი საფასურის გადახდა ჩვენნაირი ხალხისთვის, ალბათ, შეუძლებელი იქნება.

დარწმუნებული ვარ, მამით ობოლს, ღმერთი არ მიმატოვებს!

ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრები, მამა!

დათო დევიძე.

## გული მოგტირის

ომარ დევიძეს

ზოგჯერ წუხილიც მოდის ღვარცოფით,
ყოვლის მფარველი მხოლოდ ღმერთია!..
შენ მაგალითი იყავ კაცობის,
წახველ, ჩამწყვიტე გული ერთიან.
წინ ვინ აღუდგეს არსთა განმრიგეს,
ან საყვედური ვინ, ვინ შეჰკადროს?..
შენ ჩემში ძმობის კოშკი აიგე,
გამოგიტირებ მიტომც ვერასდროს!
დუმდი... მთქმელი ხარ ნეტა აწი რის? —
დარჩი ბოლომდე უფლის მხმობელი...
ვით დედის უბე, მიწა საწირის
თბილია შენთვის და ახლობელი.
რა მოვუხერხო ამ გულს, მოგტირის,
ცოტანი ვიცი შენისთანები...
დრომ ჩამოგტეხა მწვანე ტოტივით,
„დავდივარ, ვწუხვარ და მენანები!"
შენს ტკივილს, დამის ფიქრად დადენილს,
გზა ღვთის გულამდე გაუკაფია...
ეს ლექსიც — ჩვენი ძმობის კანდელი —
დრო-ჟამს გაჰყვება ეპიტაფიად.

თენგიზ სვანიძე

ინფორმაცია

### გამოცდებში 6 000 მოსწავლე ჩაიჭრა

**განათლების სამინისტროს ინფორმაციით საატესტატო გამოცდებში 6 000 მოსწავლე ჩაიჭრა.**

— 1520 საჯარო და კერძო სკოლაში საგამოცდო პროცესი გამართულად, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე წარიმართა. 50 ათასამდე მოსწავლემ საკუთარი ცოდნა რვა საგანში გამოსცადა. მათგან 30%-მა მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო 5%-მა საუკეთესო მაჩვენებელი აჩვენა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სკოლებში საგანმანათლებლო პროცესი გაუმჯობესდა, ხოლო სწავლების დონე ამაღლდა. უპრეცედენტო საატესტატო გამოცდები დადებითად შეაფასა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და ქართული ანალოგის საკუთარ ქვეყანაში დანერგვაზე დაიწყო მუშაობა, — იუწყება განათლების სამინისტრო.

190-ე, მე-7, 37-ე და 108-ე საჯარო სკოლებმა დაბალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს. განათლების სამინისტრო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლება სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის დავალებით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია იმ სკოლების ადმინისტრაციების საქმიანობის შესწავლას იწყებს, რომლებმაც საატესტატო გამოცდებზე დაბალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს.



### დუშეთში ექვსი სოფელი გარესამყაროსაა მოწყვეტილი

გადაუღებელი წვიმის შედეგად გარესამყაროს დუშეთის რაიონის კიდევ 6 სოფელი: დოლას ძედი, ზედა დოლას ძედი, ჟულისი, ვაშლობი, ერეთი და საქერი მოწყდა.

ადიდებულმა მდინარე არაგვმა სოფლებთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა წაიღო, რის შედეგადაც 70-მდე ოჯახი რაიონულ ცენტრთან დაკავშირებას ვერ ახერხებს. დატბორილია საცხოვრებელი სახლები, დახოცილია შინაური ფრინველი და მთლიანად განადგურებულია ნათესები.

სტიქიის ზონაში დუშეთის რაიონის გამგეობის და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. უკვე შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიისგან მიყენებულ ზარალს დაითვლის. დუშეთში წუხელ მთელი ღამის განმავლობაში წვიმდა.

### აფხაზეთში უკანონოდ ჩამორთმეული ბინები დაუბრუნდათ

რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების აღდგენის რუსულ-აფხაზური ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებით, რუსეთის რამდენიმე მოქალაქეს აფხაზეთში უკანონოდ წართმეული საცხოვრებელი დაუბრუნდა. ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა რწმუნებულმა კონსტანტინე დოლგოვმა გააკეთა.

— აფხაზურ ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირში ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის ძიების გზაზე ვართ. 2010 წლის ოქტომბრიდან კი რუსეთის მოქალაქეების მომართვის საფუძველზე შესაბამისი მექანიზმია ამოქმედებული. კომისიის მიერ განხილულია 187 სარჩელი და 43 მათგანზე უკვე გამოტანილია კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება, — აცხადებს დოლგოვი.

დოლგოვი ასევე აცხადებს, რომ ზოგ განმცხადებლებს უკანონოდ წართმეული საცხოვრებელი უკვე დაუბრუნდა.

— ჩვენ არ ვყოფთ რუსეთის მოქალაქეებს ნაციონალური ნიშნით და ჩვენ დავიცავთ კიდეც მათ უფლებებს, მიუხედავად მათი ეროვნებისა, — აცხადებს დოლგოვი.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## დაიჯესტი

### პირველი ნაბიჯი ხასიათის შესაქმნელად



სილვესტერ სტალონე მამაკაცის ტანსაცმლის საკუთარი ხაზის გამოშვებას აპირებს. „ვიცი, თუ რა უფრო კარგი შედეგის მომტანია ცხოვრებაში და რა – უფრო საზიანო. ტანსაცმლის სწორი შერჩევა – ეს მამაკაცის ხასიათის შესაქმნელად პირველი გადადგმული ნაბიჯია“, – აცხადებს ცნობილი მსახიობი. ყველა სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი, პარფიუმერია და სათვალე „სტალონეს“ მარკით გაყიდვაში გაისად გამოვა.

### კაცი, რომელსაც „სათამაშო“ მთვარეზე აქვს ნაყიდი

რა აღარ გაყიდულა მსოფლიოში ცნობილ აუქციონ „სოთბიზე“! უნიკალურ ნივთებს შორის, რომლებიც შეძლებულ ხალხს იქ შეუძენია, არის დედამიწის პირველი



კოსმონავტის იური გაგარინის ისტორიული ფრენის ანგარიში, მისი სამხედრო ფორმა, კოსმოსური ხომალდების კონსტრუქტორის, აკადემიკოს კოროლიოვის ლოგარითმული შიმშა...

ეს ექსპონატები 1993 წელს გაიყიდა – მაშინ, როცა ამერიკელმა მილიონერმა რიჩარდ ჰერიოტმა 68,5 ათას დოლარად... „ლუნოხოდ-2“ შეიძინა. გასაოცარი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთგვარად უნიკალური გარემოება: საქმე ის არის, რომ ეს მთვარეზემავალი 1975 წლიდან დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ერთ-ერთი კრატერის კედელზეა „მიყენებული“. თუმცა ამერიკელი ბოზოლა ამ „უმნიშვნელო“ გარემოებას არ შეუშინებია და მან „სათამაშოზე“ უფლება შეიძინა, თუმცა კი მას, ალბათ, ვერასდროს ნახავს.

### ღვინოსა და ჭაჭაში დაბერებული ყველი...



ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ საქართველოში ძველი დროიდან მოყოლებული, მრავალი სახეობის ყველი ამოჰყავდათ, რისი დიდი კულტურაც გვაქვს. სამწუხარო ის არის, მრავალი მათგანი მხოლოდ მეხსიერებასღა შემორჩა, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი, ვფიქრობთ, გასაკვირი რამაა...

– დამბალი და ბოყრინი ხაჭო, ოზიანი ყველი, იაყინ კალტი, ჩეჩილი, მოთალი შორა, მწვანე ყველი, დათხურ-ხავიწი – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ და კიდევ უამრავი დასახელების ყველს ამზადებდნენ. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მხარეში ახლაც ამოჰყავთ, ზოგის გაკეთება აღარც კი იციან. საგულისხმოა ისევე ისიც, რომ იმხანად მაცივრების უქონლობის გამო ჩვენი წინაპრები სულუგუნს... თაფლში, ღვინოსა და ჭაჭაში ინახავდნენ, ანუ „აბერებდნენ“.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● კანადურ სასამართლოში არის კანონი, რომელიც სამი წლით უკრძალავს რომანის გაბმას მამაკაცს, თუ ის შეყვარებულს თავს მოაბეზრებს და ეს უკანასკნელი მას უჩივლებს.

● 1914 წელს 18 წლის ინგლისელმა ელის ჰაიდერმა შესანიშნავ გარეგნულ მონაცემებთან ერთად გამოავლინა ფიზიკური ძალა, მოხერხებულობა და მიიღო 250 დოლარი. ფულადი ჯილდოს გარდა ასევე მიიღო წოდება „მის მსოფლიო“.

● იცით, რა საერთოა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920-1933 წლებში კანონსა და მყარ ნახშირორჟანგს შორის? – ორივე მშრალია, კანონიც და ყინულიც.

● ევროპის ბევრ ქალაქში შუქნიშნის ყოველი ფერის ანთებას ხმოვანი სიგნალი ახლავს – ის განკუთვნილია უსინათლოთათვის.

● ქალაქ ვენეცია 120კუნძულზეა განლაგებული. ვენეციელთა მტკიცებით, ყოველ კუნძულს სული აქვს. ამის გამო თავიანთ ქალაქს „დიდსულოვანს“ უწოდებენ.

● ესპანეთის დედოფალი ისაბელი თავისი სეფექალების „წელში გამოყვანით“ იყო დაკავებული: მან გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც წელის გარშემოწერილობა 32,5 სმ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ქალები კორსეტებში „იჭედებოდნენ“ და როგორც ამბობენ, ზოგიერთი ამის გამო იღუპებოდა კიდეც.

● ინგლისში ელისაბედის ეპოქის უცნაურობა ის გახლდათ, რომ მოდური იყო ლოყებში ქსოვილის ბურთულების ჩალაგება, რადგანაც ასე სახე უფრო მრგვალი და გადატკეცილი ჩანდა.

● სალვადორ დალი თავის ცოლს გალას იმ სუნამოთი ანებივრებდა, რომელიც თევზის ლორწოსა და ექსკრემენტებისაგან იყო დამზადებული. ის სუნამოს თვითონ იპკურებდა ხოლმე, გალას კი მხოლოდ მისი დაყნოსვის უფლებას აძლევდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

### ფიროსმანის ქუჩაზე სახლი ჩამოინგრა

ინციდენტი ორშაბათ ღამით მოხდა. ნგრევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ნანგრევებმა გვერდით მდებარე სახლიც დააზიანა.

ფიროსმანის 20 ნომერში მდებარე საცხოვრებელ სახლში 9 ოჯახი ცხოვრობს. შენობა რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება.

შემთხვევის ადგილზე გვიან ღამემდე მუშაობდნენ სამაშველო ბრიგადების წარმომადგენლები. დაზარალებული მაცხოვრებლები ადგილობრივი გამგეობის წევრებმაც მოინახულეს და მათ დახმარებას დაჰპირდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## კადრი



## ანეკდოტები

– ძირითადად რით განსხვავდება დასავლეთ ევროპელ და ქართველ ბიზნესმენთა საქმიანობა?

– დასავლეთში ბიზნესმენები ცდილობენ კაპიტალის დაგროვებას, მათი ქართველი კოლეგები კი – თავიანთი კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას.



თუ თბილისში შავმა კატამ გზა გადაირბინა, ესე იგი, მას ძალიან გაუმართლა.

* * *

დაქალები დაშა და მაშა დანიძლავდნენ, თუ რომელი მათგანი მოახერხებდა ბიზნესმენ სერგეიზე გათხოვებას. გაუმართლა დაშას, სერგეის კი – არა.

* * *

– რას აკეთებ სამსახურში?

– სახლში წასვლას ველოდები.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 8599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24